ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

## პროკურორი: ჯოკია ბოდოკიამ ქრთამი შპს დარიოუშის" ხელმძღვანელისგან, ნათია მახარაშვილისგან, აიღო"

სასამართლომ ბოდოკიას წინასწარი პატიმრობა შეუფარდა

გვ.3



14 – 15 თებერვალი, 2015

136 (6656)

აფცბ5 №) სტსპბ

# ვოლსკი: მარგველაშვილის მიერ ქუცნაშვილის წარდგენა სწორი იქნება"

გვ.2

## ზაქარია ქუცნაშვილი: დამისაბუთეთ, რატომ შემიშლის ხელს პოლიტიკოსობა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობაში!"



ვინ დააწესა ეს კრიტერიუმები? მაშინ, მოდი, დავაწესოთ ასეთი კრიტერიუმიც, რომ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე უნდა იყოს მაღალი და მელოტი. როდესაც დამოუკიდებელ პიროვნებაზე გვსაუბრობთ, იქ პოლიტიკური საქმიანობა რა შუაშია?!

გვ.2

### ამერიკაში მოსამართლეს პარტიის წევრობის უფლებაც აქვს

## ირმა ნადირაშვილი: თამარ ფხოველიშვილს 2 მილიონის გაფლანგვა ბრალდება"

გვ.5




## დავით შავლიაშვილი: „საეჭვო გადარიცხვები აღმოვაჩინეთ"



შსს: „თამარ ფხოველიშვილი დაკავებული არ არის, მიმდინარეობს გამოძიება"

გვ. 2

## ანზორ აბრალავა: სააკაშვილი თავის გარემოცვას ხრამში გადაჩეხავს"

გვ.6

„ახალი კრიზისული სიტუაციების შექმნა საჭირო არ არის"





## სკოლის გამოსაშვები გამოცდით უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვა შესაძლებელი გახდება?

გვ.4

რა არის მატურა გამოცდები და რამდენადაა შესაძლებელი მათი საქართველოში დანერგვა

ISSN 1987-9385

კევ]ბ ობსტკბ .დბსტკბ იფდბ

# ზაქარია ქუცნაშვილი: დამისაბუთეთ, რატომ შემიშლის ხელს პოლიტიკოსობა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობაში!“

## ამერიკაში მოსამართლეს პარტიის წევრობის უფლებაც აქვს

ნონა ცაბაძე

**დაპირისპირება „ქართულ ოცნებაში“ აქტიურ ფაზაში შევიდა. ზაქარია ქუცნაშვილის კანდიდატურის დასახელებას უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობის მსურველად პარლამენტში დიდი ამბები მოჰყვა. დეპუტატების ნაწილმა ხელი მოაწერა განცხადებას, რომელიც არასწორად მიიჩნევს პოლიტიკოსისთვის აღნიშნული პოსტის დაკავების აკრძალვას.**

„ახალი თაობა“ აღნიშნულ თემაზე ამბის მთავარ გმირს, დეპუტატ ზაქარია ქუცნაშვილს ესაუბრა.

***— ბატონო ზაქარია, თქვენსა და დავით საგანელიძეს შორის არც ადრე ყოფილა თბილი ურთიერთობები, თუმცა ახლა სერიოზულ დაპირისპირებაზე საუბრობენ. ითქვა, რომ იმ 16-მა პირმა, ვინც ხელი მოაწერა განცხადებას, არ იცოდა, შიგნით რა ეწერა. რამდენად სწორია თქვენი მისამართით წამოსული ბრალდებები?***

— 16 არ არის, ჯერ ერთი, 19-ია, ჰოდა, ჰკითხეთ იმ ადამიანებს, იცოდნენ თუ არა, რაზე აწერდნენ ხელს და ისინი გიპასუხებენ.

***— რატომ გამწვავდა დაპირისპირება თქვენსა და საგანელიძეს შორის?***

— ჩვენ არ დაგვიწყია დაპირისპირება, დაპირისპირებას იწყებს ის, ვინც უმრავლესობის წევრებს არ აყენებს საქმის კურსში. უმრავლესობის წევრებს არ უთანხმებს მათ კომპეტენციაში შემავალ საკითხებს. ამ დაპირისპირებას ის იწყებს და არა ჩვენ, ვინც ვითხოვთ ჩვენი უფლებების დაცვას.

***— ე.ი. საგანელიძის მხრიდან წამოვიდა დაპირისპირება და აგრესია?***

— თქვენ თავად გააკეთეთ შეფასება, დაპირისპირებას რა იწვევს? იწვევს უსამართლობა, არაინფორმირებულობა და არაკოორდინირებულობა. ვინც არის ამის სათავესთან, ის არის წყარო. როგორ შეიძლება, პარლამენტის რიგითი წევრი იყოს დაპირისპირების წყარო!

***— ტყუილები იკადრა ზაქარია ქუცნაშვილმაო. რაში გადანაშაულებთ საგანელიძე?***

— ეს მას უნდა ჰკითხოთ. თუ ტყუილი ვთქვი, 19 დეპუტატი რას ადასტურებს მაშინ?!

***— თქვენი კანდიდატურის შესახებ რას გვეტყვით?***

— ჩემი კანდიდატურა წარადგინა 11-მა საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ და აკადემიურმა წრეებმა.

***— მე სხვა რამეს გეკითხებით — რატომ მიიღეთ ეს გადაწყვეტილება? როგორც ვიცით, სხვა დეპუტატებიც წარადგინეს, იგივე თინა ხიდაშელი, მაგრამ მან უარი განაცხადა.***

— რატომ დავთანხმდი ამ წარდგინებას? იმიტომ დავთანხმდი, რომ ჩემი 23 წლიანი პროფესიული საქმიანობა მაძლევს იმის უფლებას, რომ მე ჩავთვალო, რომ მზად ვარ ასეთი რთული მისიის შესასრულებლად.

***— რამდენად გაქვთ იმის იმედი, რომ პარლამენტი მხარს დაუჭერს თქვენს კანდიდატურას?***

— (იცინის) მთავარი არის ის, რაც მე ჩემს მეგობრებთან ერთად განვაცხადე, რომ არავის აქვს პარლამენტის, პარტიის, მთავრობის, ადგილობრივი მუნიციპალური ხელისუფლების წევრებისთვის საქმიანობის შეცვლის აკრძალვის უფლება. ანტიკონსტიტუციურ კრიტერიუმებს, რომლებიც ასეთ დისკრიმინაციულ სეგრეგაციას წარმოშობს, ჩვენ არ დავუშვებთ. ეს მნიშვნელოვანი საკითხია და, შესაბამისად, მე მადლობელი ვარ იმ ჩემი რამდენიმე ათეული კოლეგის, რომელიც იზიარებს თავიდან ბოლომდე ამ შეხედულებას და საჭირო განცხადებით ადასტურებს ჩვენი პოზიციის სისწორეს.

***— საკმაოდ ვრცელი სიიდან მოუწევს პრეზიდენტ მარგველაშვილს ერთ-ერთი კანდიდატის შერჩევა. რამდენად შეიძლება იყოს ის ზაქარია ქუცნაშვილი?***

— არა მგონია, ეს კორექტული შეკითხვა იყოს. იმიტომ, რომ პროცესი ითხოვს, პრეზიდენტმა უნდა მოახდინოს მისი შერჩევა. კანდიდატები უმრავლესობასთან შეთანხმების გარეშე იქნა მიწოდებული პრეზიდენტისთვის და, მე მგონი, ეს უდავოა. მე უმრავლესობა, როგორც ელიტა, ისე კი არა აძლევენ, პროფესიის მიუხედავად, გაერთიანებაში თავისუფლად გაწევრიანების უფლებას. რა, იგივე მოსამართლე არჩევნებზე არ მიდის და ხმას არ აძლევს პოლიტიკური სიმპათიის მიხედვით პრეზიდენტს, ან პარტიებს?!

***— როდესაც დაიწყო კანდიდატურების შერჩევა, კრიტერიუმების განხილვა, თუ როგორი უნდა იყოს უზენაესი სასამართლოს მომავალი თავმჯდომარე, საზოგადოების დიდი ნაწილი თანხმდებოდა იმაზე, რომ ის არ უნდა ყოფილიყო აქტიურ პოლიტიკაში. ამ შეფასებას რითი უპასუხებთ?***

— ვინ საზოგადოება თანხმდებოდა?!

***— როდესაც ამ თემაზე ვმუშაობდით, არაერთ რესპონდენტს გაუსვამს ხაზი ამ საკითხისთვის — უფლებადამცველებს, იურისტებს, ექსპერტებს, საზოგადოებისთვის ცნობილ ადამიანებს.***

— თქვენ ან მიდიხართ მე-19, მე-20 საუკუნეში, როცა პოლიტიკური საქმიანობა მიიჩნევა სხვა საქმიანობის გაგრძელების შეზღუდვის გარემოებად, ან მიდიხართ თანამედროვე სამართლისაკენ, რომელიც ამბობს, რომ



მყავს გამორჩეული ამ შემთხვევაში. კონსტიტუციის 90-ე მუხლი მავალდებულებს, რომ მე, როგორც პარლამენტის წევრმა, მივიღო გადაწყვეტილება უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობაზე გამწესებაზე, ან უარი ვთქვა. აქედან გამომდინარე, თქვენ უნდა მკითხოთ, ვინ არის პასუხისმგებელი იმაზე, რომ უმრავლესობასთან შეუთანხმებლად წავიდა ეს კრიტერიუმები. ამერიკაში მოსამართლეს პარტიის წევრობის უფლებაც კი აქვს, მოსამართლის თანამდებობაზე გამწესების შემდეგაც. ევროპაში პოლიციასაც კი აქვს პარტიის წევრობის უფლება. პარტიის წევრობა არის გაერთიანების თავისუფლების აღიარება. საქმე ის არის, რომ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, წინა პლანზე არ უნდა დააყენო შენი პარტიული ინტერესი მართლმსაჯულების ან სახელმწიფოს ინტერესებთან შედარებით, რასაც სამართლებრივ ენაზე თანამდებობის ბოროტად გამოყენებას ეძახიან, თორემ ეს პრობლემა მსოფლიოში უკვე მოხსნილია და ყველას გაერთიანების თავისუფლება, მათ შორის, პოლიტიკური გაერთიანება და ნებისმიერი საქმიანობის თავისუფლება, აღიარებულია და დაცულია კონსტიტუციით. რით ასაბუთებენ ამ მოსაზრებას ეს ადამიანები? ერთი საერთაშორისო აქტი დამისახელონ, ან საქართველოს ერთი კანონი დამისახელონ! ვინ დააწესა ეს კრიტერიუმები? მაშინ, მოდი, დავაწესოთ ასეთი კრიტერიუმიც, რომ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე უნდა იყოს მაღალი და მელოტი. როდესაც დამოუკიდებელ პიროვნებაზე ვსაუბრობთ, იქ პოლიტიკური საქმიანობა რა შუაშია?!

**ვინ დააწესა ეს კრიტერიუმები? მაშინ, მოდი, დავაწესოთ ასეთი კრიტერიუმიც, რომ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე უნდა იყოს მაღალი და მელოტი. როდესაც დამოუკიდებელ პიროვნებაზე ვსაუბრობთ, იქ პოლიტიკური საქმიანობა რა შუაშია?!**

***— ეს ჩემი მოსაზრება არ არის, ბატონო ზაქარია, როდესაც მიდიოდა განხილვები, ამ კრიტერიუმს ხაზს უსვამდა საზოგადოება.***

— ეს იყო სტერეოტიპული მოსაზრება, განმსჭვალული იმ წარსულით, რომელშიც გვაცხოვრეს წლების განმავლობაში. ეს სტერეოტიპი აიტაცეს იმ ადამიანებმა, ვინც ვერ ერკვევიან, საით მიდის თანამედროვე დემოკრატია. აი ეს არის. თორემ ნებისმიერი გამოვიდეს და დაასაბუთოს, პოლიტიკური საქმიანობა რატომ არის ხელისშემშლელი სხვა საქმიანობის გაგრძელებისა?! როდესაც პრინციპულად დავსვით ეს საკითხი, მგონი, ყველამ აღიარა და მიხვდა, რომ რასაც ჩვენ ვამბობთ, ეს არის სწორი, სამართლიანი და მომავლის გზა. ნინელი ჭანკვეტაძეს აუკრძალეს საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურნეო საბჭოს კონკურსში მონაწილეობის მიღება, რადგან ის ჩართული იყო „ქართული ოცნების“ საარჩევნო კამპანიაში 2012 წელს. აქაც იგივე სტერეოტიპი გამოიყენეს, ე.ი. ვინც ბუჩქებში ზის და ხმას არ იღებს, იმათთვის შეიძლება, ხოლო ვინც ქართველი ხალხის მხარეს დგას, იბრძვის მისი უფლებებისთვის და მისი თავისუფლებისთვის, იმისთვის არ შეიძლება?! მე არავის მოვერიდებივარ, არც საზოგადოებაში გაბატონებულ სტერეოტიპს. როცა ყველა იძახდა, რომ ვარდების რევოლუცია მაგარი რაღაცაა, მე ვამბობდი, რომ ვარდების რევოლუცია დაღუპავს საქართველოს! და ძალიან დიდ უმცირესობაში ვიყავი. მაშინ ძალიან პოპულარული იყო ეს აზრი, რომ გაუმარჯოს მიშას! მე კი ამ ყველაფრის წინააღმდეგი გამოვდიოდი. ხომ ყველანი დარწმუნდით, რომ ჩემი შეხედულება იყო სწორი?! ჩემი დიდი თხოვნაა, დასვათ ის შეკითხვები, რაც სამართლიანი ლოგიკიდან გამომდინარეობს და არა ისინი, რომლებიც სტერეოტიპულ აზროვნებას მოჰყვება ნალექად.

# ვოლსკი: მარგველაშვილის მიერ ქუცნაშვილის წარდგენა სწორი იქნება“

## „განცხადებაზე მე-20 ხელისმომწერი მე ვიქნები“

შორენა კოწოწაშვილი

**უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატურების მრავალრიცხოვან სიას საზოგადოებრივ და პოლიტიკურ წრეებში სერიოზული ხმაური მოჰყვა. თუმცა, განსაკუთრებული ვნებათაღელვა მაინც სახელისუფლო ფრთის წარმომადგენლის — დეპუტატ ზაქარია ქუცნაშვილის — კანდიდატურამ გამოიწვია, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან დასახელდა ქვეყნის პირველი მოსამართლის ვაკანტურ პოსტზე.**

ბევრი ჯგუფი ცდილობს, რომ მისი რჩეული გახდეს ქვეყნის პირველი მოსამართლე, თუმცა მანტია ერთია და ეს არის იმ ძალიან სერიოზული დაპირისპირების მიზეზი, რომელიც კოალიციის შიგნით გაჩაღდა. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მანტია გავლენიან ფიგურებს თიანეთის მაჟორიტარისთვის არ ემეტებათ, თორემ ასე რიგში ხომ არ დაეწყობოდნენ მეოცნებე დეპუტატები და ერთხმად ხომ არ შეუტევდნენ თანაგუნდელ ქუცნაშვილს, რომელიც „ოცნების“ წევრებმა ხელისუფლებაში მოსვლისას ანდა ცოტათი ადრეც აითვალწუნეს.

ყველაფრის მიუხედავად, ბატონმა ზაქარიამ უკანდახევა არ არჩია და თანაგუნდელებთან ხელჩართულ ბრძოლაში ჩაერთო. ამით არა მარტო საკუთარი უფლებების დაცვა დაიწყო, არამედ ცალსახად გამოკვეთა ის პრობლემა, რომელიც მმართველ გუნდშია და რაც უარყოფითად მოქმედებს ხელისუფლების იმიჯზე.

ქუცნაშვილთან ბრძოლაში პარტიის ე.წ. მძიმეწონოსანი ფიგურა, უმრავლესობის ლიდერი დავით საგანელიძე ჩაერთო, რომელიც ამ ფაქტის შემდგომ, არ არის გამორიცხული, მორიგი შეტევების მსხვერპლიც გახდეს. ამბობენ, რომ ერთ-ერთ სასამართლოში არის საქმე, სადაც საგანელიძის ბიზნესინტერესები იკვეთება კონკრეტულ რეგიონში და ეს ბრალდება მის წინააღმდეგ გააქტიურდება.

ქუცნაშვილის კანდიდატურას მხარს 20 არასამთავრობო ორგანიზაცია უჭერს. მათ ამ ორომტრიალში საგანგებო განცხადება გაავრცელეს და საკუთარი პოზიცია და არგუმენტები ღიად დააფიქსირეს.

— ქვეყანაში სრულფასოვანი, მიუკერძოებელი, სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობის კანდიდატი აკმაყოფილებდეს არა მარტო საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ კრიტერიუმებს — მოქალაქეობის, ასაკის, განათლებისა და კვალიფიკაციის ცენზს, არამედ იყოს პრინციპული და თავისუფალი ნებისმიერი სახის ზეგავლენისგან და შეეძლოს თავისი პოზიციების დაცვა იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც უმცირესობაში იმყოფება. მიგვაჩნია, რომ ზაქარია ქუცნაშვილი არის ადამიანი, რომელიც

გაგრძელება მე-3 გვერდზე



ახალი თაობა
www.atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

# პროკურორი: ჯოკია ბოდოკიამ ქრთამი შპს „დარიოუშის“ ხელმძღვანელისგან, ნათია მახარაშვილისგან, აიღო“ ადვოკატი: „ჯოკია ბოდოკია ბრალდებას არ აღიარებს“

## სასამართლომ ბოდოკიას წინასწარი პატიმრობა შეუფარდა



_ ჯოკია ბოდოკიამ ქრთამი შპს „დარიოუშის“ ხელმძღვანელისგან, ნათია მახარაშვილისგან, აიღო, რომელმაც გამოძიებასთან ითანამშრომლა, _ ამის შესახებ საქალაქო სასამართლოში ბოდოკიას აღკვეთის ღონისძიებასთან დაკავშირებული პროცესის დაწყებამდე საქმის პროკურორმა მალხაზ გენაძემ განაცხადა.

პროკურორის ინფორმაციით, „დარიოუშს“ სასტუმრო თაბუკაშვილის ქ. 32-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე უნდა აეშენებინა, რის მფარველობასაც შპს-ს ხელმძღვანელს ბოდოკია დაჰპირდა. გეწაძის თქმით, საქმეში არის ვიდეომტკიცებულებებიც.

პროკურორმა განაცხადა,რომ, დანაშაულის სიმძიმიდან გამომდინარე, ბრალდების მხარე ბოდოკიასთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდებას მოითხოვდა.

დაცვის მხარე მოსამართლეს მიმართავდა შუამდგომლობით ბრალდებულის გირაოთი გათავისუფლების შესახებ.

პროცესს ბრალდებულიც დაესწრო.

— ჯოკია ბოდოკია წარდგენილ ბრალდებას არ აღიარებს და აცხადებს, რომ ქრთამი არ აუღია, — ამის შესახებ ჯოკია ბოდოკიას ადვოკატმა გიორგი ყავლაშვილმა „ლიბერალთან“ საუბრისას განაცხადა.

ადვოკატის თქმით, საბრალდებო დასკვნაში ნახსენებია კერძო კომპანია „დარიოუში“ (DARYOUSH) და ნათქვამია, რომ ჯოკია ბოდოკიამ ამ კომპანიის წარმომადგენელს სასტუმროს მშენებლობის ნებართვის გაცემისა და მფარველობის სანაცვლოდ ქრთამის სახით სასტუმროს მშენებლობის ღირებულების 10% — 180.000 აშშ დოლარი მოსთხოვა, საიდანაც, წინასწარ ქრთამის სახით, 50.000 აშშ დოლარი აიღო.

ადვოკატმა აღნიშნა, რომ მისი კლიენტი დუმილის უფლებას იყენებს, თუმცა კატეგორიულად არ ეთანხმება ბრალდების ფორმულირებას, თითქოს დანაშაული უკავშირდება მის საქმიანობას მერიაში. ადვოკატის განცხადებით, მსგავსი ქმედება, რასაც მის კლიენტს ბრალად უყენებენ, ჩადენილი რომც ყოფილიყო, ჯოკია ბოდოკია აცხადებს, რომ ეს დაკავშირებული არ იქნებოდა მერიის ზედამხედველობის სამსახურში მის საქმიანობასთან.

გუშინ, 13 თებერვალს, თბილისის საქალაქო სასამართლომ ჯოკია ბოდოკიას მიმართ აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შესახებ პროკურატურის შუამდგომლობა დააკმაყოფილა. სასამართლომ ბოდოკიას წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

პროცესის დაწყებამდე პროკურორმა მალხაზ გეწაძემ განაცხადა, რომ ბოდოკიამ შპს „დარიოუშის“ (DARYOUSH) წარმომადგენელ ნათია მახარაშვილს საერთო ჯამში 180.000 აშშ დოლარის გადახდა მოსთხოვა, საიდანაც წინასწარ 50.000 მიიღო.

**მალხაზ გეწაძე:**

— ეს თანხა იმ მოტივით იყო მოთხოვნილი, რომ ბოდოკია ნათია მახარაშვილს თაბუკაშვილის 32 ნომერში მდებარე მიწის ნაკვეთზე სასტუმროს მშენებლობის ნებართვის მოპოვებას, ასევე მშენებლობის დასრულებამდე სამსახურებრივ მფარველობას დაჰპირდა. შესაბამისად, იგი პირობას იძლეოდა, რომ ყველა პრობლემას მოაგვარებდა, რომელიც მშენებლობის პროცესში წარმოიქმნებოდა.

ჯოკია ბოდოკია 11 თებერვალს, შსს-ს ანტიკორუფციული სააგენტოს ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის აღების ფაქტზე, დააკავეს.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის აღებას გულისხმობს და სასჯელის სახით 11-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

# ვოლსკი...

დასაწყისი მე-3 გვერდზე

სრულად აკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს. მისი პოზიცია „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიღებისას, ბატონი იური და ზურა ვაზაგაშვილების მკვლელობების გამოძიების საქმეზე და მრავალ სხვა საკითხთან დაკავშირებით, ისევე, როგორც მისი საქმიანობა საზოგადოებრივ ასპარეზზე სამართლიანობისთვის ბრძოლაში, ვფიქრობთ, ამის ნათელი დასტურია. მისი კომპეტენცია და გამოცდილება კი არავისთვის არ წარმოადგენს დავის საგანს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ, არასამთავრობო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, მხარს ვუჭერთ ზაქარია ქუცნაშვილის კანდიდატურას უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობის პოსტზე. — აღნიშნულია განცხადებაში.

განცხადებების ომში იმანაც გაიჟღერა, რომ, შესაძლოა, ქუცნაშვილი უმრავლესობის რიგებიდან გარიცხონ. ეს, ალბათ, მავანთ გაახარებდა კიდეც, მაგრამ უმრავლესობის წევრმა გია ვოლსკიმ გუშინ, 13 თებერვალს, დააკონკრეტა, რომ არც ქუცნაშვილის „ქართული ოცნებიდან“ გარიცხვის და არც საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის შეცვლის საკითხი არ დგას.

როგორც ვოლსკიმ ჟურნალისტებთან განაცხადა, ფრაქცია „ქართული ოცნების“ სხდომაზე მხოლოდ იმ კრიტერიუმებზე ისაუბრებენ, რომელიც სხვადასხვაგვარად იქნა გაგებული და რასაც დეპუტატებს შორის უთანხმოება მოჰყვა. ვოლსკის თქმით, ის იზიარებს ზაქარია ქუცნაშვილისა და სხვა კოლეგების მოსაზრებებს, რის გამოც მათ მიერ გავრცელებულ განცხადებაზე მე-20 ხელმომწერი იქნებოდა.

— არაკოორდინირებული ცოტა მძიმე ნათქვამი მგონია, მაგრამ რაღაც თემები არსებობს, რომლებზეც მეტი ურთიერთობა და კომუნიკაციაა საჭირო. ალბათ, ეს იმანაც განაპირობა, რომ ზოგიერთი დეპუტატი აქ არ იყო. პოლიტსაბჭოს ბოლო სხდომაც ისე ჩატარდა, რომ რამდენიმე წევრი არ ვიყავით საქართველოში. თუმცა, ყველაფერი მოგვარებადია. ვფიქრობთ, ცოტა უტრირებულიცაა ის პრობლემა, რომელზეც მედიაშია საუბარი. რაც შეეხება განცხადებას, მეც ვიქნებოდი მე-20 ხელმომწერი, — აღნიშნა ვოლსკიმ.

აღსანიშნავია, რომ დეპუტატ ქუცნაშვილის დამოუკიდებელმა გადაწყვეტილებამ ბევრი გააღიზიანა. ეს ბუნებრივიცაა, რადგანაც მმართველ გუნდს რომ გუნდურობის პრობლემა აქვს, ეს კიდევ ერთხელ გამოიკვეთა. ამასთან, ამ განცხადებებმა ცხადყო, რომ შიდა დაპირისპირება სახიფათო ნიშნულს აღწევს და ამის მიზეზი მხოლოდ ის არ არის, ვინ დაიკავებს ქვეყნის პირველი მოსამართლის სავარძელს.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, ეკა ბესელია, დავით საგანელიძის მხრიდან ზაქარია ქუცნაშვილის მიმართ გაკეთებულ მწვავე განცხადებას გამოეხმაურა.

ბესელია ფიქრობს, რომ მსგავსი განცხადებების გაკეთება დახურულ ფორმატში უნდა მოხდეს და დეპუტატები ერთმანეთს საჯაროდ არ უნდა ესაუბრონ.

— ჩემი კოლეგებისა და თანაგუნდელების მიმართ ერთი ძალიან მოკრძალებული და აუცილებელი თხოვნა მექნებოდა — ჩვენ ერთმანეთს არ უნდა ვესაუბროთ ტელეკამერებითა და საჯაროდ. ამისთვის შეგვიძლია, ყოველდღიურ რეჟიმში დავსხდეთ და ვიმსჯელოთ. — განაცხადა ბესელიამ.

რამდენად გაითვალისწინებს უმრავლესობის ლიდერი ბესელიას რჩევას, ამას დრო აჩვენებს, მანამდე კი ცალსახაა, რომ კუბლაშვილის შემცვლელის მოყვანას წინ სერიოზული ბრძოლა უძღვის. აქვე იმასაც ვიტყვით, რომ ქვეყნის პირველი მოსამართლე პოლიტიკური გავლენისგან თავისუფალი ვერ იქნება, რაოდენ დამაჯერებელი ტონითაც არ უნდა ამტკიცონ ეს მაღალი ტრიბუნებიდან.

გუშინ, დღის მეორე ნახევარში, აღნიშნულ საკითხზე ფრაქცია „ქართული ოცნების“ სხდომა ჩატარდა.

დეპუტატმა გია ვოლსკიმ ფრაქციის სხდომის დასრულების შემდეგ განაცხადა, რომ ფრაქციის 47-ვე წევრი თანხმდება, რომ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობის კანდიდატი არ უნდა ემორჩილებოდეს ვინმეს პოლიტიკურ ნებას ან რომელიმე პოლიტიკურ პარტიას.

ვოლსკის თქმით, პრეზიდენტთან შეთანხმებული აღნიშნული კრიტერიუმის განმარტებისას ინტერპრეტაციებს ჰქონდა ადგილი.

— ამასთან დაკავშირებით თავიდან გაკეთებული განმარტებები იყო არასწორი. ეს აზრი არ ყოფილა, რომ რომელიმე პოლიტიკურ ფიგურას არ შეუძლია, თავისი კანდიდატურა დააყენოს. ეს საკითხი დღის წესრიგში არ დგას, — განაცხადა დეპუტატმა.

მისივე თქმით, პრეზიდენტის ადმინისტრაციამაც განმარტა, რომ არც მათ უგულისხმიათ, რომ ადამიანს, რომელიც არის პოლიტიკური ფიგურა, არ აქვს უფლება, საკუთარი კანდიდატურა დააყენოს.

დეპუტატის აზრით, თუ პრეზიდენტი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობის კანდიდატად ზაქარია ქუცნაშვილს წარადგენს, ეს სწორი გადაწყვეტილება იქნება, რადგან ქუცნაშვილი ამ თანამდებობაზე რომელიმე პოლიტიკური პარტიის გავლენის ქვეშ არ იქნება.

ამასთან, მან თავი აარიდა კონკრეტულ პასუხს კითხვაზე, დაუჭერს თუ არა მხარს ქუცნაშვილის კანდიდატურას უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პოსტზე.

# შსს-ს აკადემიაში საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის სასწავლო ცენტრის ინსტრუქტორებს სპეციალური კურსის სერტიფიკატები გადაეცათ



შსს-ს აკადემიის რექტორმა ნუკრი გელაშვილმა და საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსმა ანზორ ჩუბინიძემ სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლებს სპეციალური ტრენინგის წარმატებით დასრულება მიულოცეს და სერტიფიკატები გადასცეს. ღონისძიებას სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის და შსს-ს აკადემიის წარმომადგენლები დაესწრნენ.

შსს-ს აკადემიაში ოთხი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა ინსტრუქტორთა მომზადების სპეციალური მოკლევადიანი კურსი (ტრენერთა ტრენინგი) და მასში სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის სასწავლო ცენტრის ინსტრუქტორებმა და პედაგოგებმა მიიღეს მონაწილეობა.

აღნიშნული კურსი მიზნად ისახავს სახელმწიფო დაცვის სამსახურის სასწავლო ცენტრის პედაგოგთა და ინსტრუქტორთა სწავლების უნარ-ჩვევების გაუმჯობესებას. ტრენინგის პროცესში განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა სწავლების თანამედროვე მეთოდები, პრეზენტაციის უნარები, სწავლების მეთოდოლოგია. კურსი თეორიულ საკითხებთან ერთად პრაქტიკულ სავარჯიშოებსაც მოიცავდა.

ტრენინგის მონაწილეებისთვის სერტიფიკატების გადაცემის შემდეგ საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის და შსს-ს აკადემიის ხელმძღვანელებმა ურთიერთანამშრომლობის გაღრმავების აუცილებლობასა და სამომავლო პერსპექტივებზე ისაუბრეს.

# შსს-მ ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვისა და ტარების ბრალდებით ორი პირი დააკავა

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის მეორე მთავარი სამმართველოს პირველი სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული სამძებრო-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1969 წელს დაბადებული კახაბერ შ. და 1970 წელს დაბადებული, მრავალჯერ ნასამართლევი ზაზა შ. ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვისა და ტარების ბრალდებით თბილისში, გლდანის დასახლებაში დააკავეს.

სამართალდამცველებმა ზაზა შ-ს პირადი ჩხრეკისას 3 საბრძოლო ვაზნა, ხოლო კახაბერ შ-ს საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას კუსტარული წესით დამზადებული 2 არარეგისტრირებული რევოლვერი და 11 საბრძოლო ვაზნა ამოიღეს.

გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვისა და ტარების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით).

# სკოლის გამოსაშვები გამოცდით უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვა შესაძლებელი გახდება?

## რა არის მატურა გამოცდები და რამდენადაა შესაძლებელი მათი საქართველოში დანერგვა

ნათია ხურცილავა

**შეცვლის თუ არა ერთიან ეროვნულ გამოცდებს ე.წ. მატურა გამოცდები, რომლებიც ითვალისწინებს სკოლის გამოსაშვები გამოცდით უმაღლეს სასწავლებელში მიღებას?**

ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის აბიტურიენტთა რეგისტრაციის პროცესი 17 მარტამდე გაგრძელდება. რეგისტრაციის პირველ ეტაპზე აბიტურიენტებმა უნდა აირჩიონ ჩასაბარებელი გამოცდების ჩამონათვალი, მიუთითონ ქალაქი და ენა. სიახლეა ის, რომ არჩევითი საგნების ჩამონათვალს სამოქალაქო განათლება დაემატა.

ამ საკითხებზე „ახალი თაობა“ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელს მაია მიმინოშვილს ესაუბრა:

***— ქალბატონო მაია, აბიტურიენტთა რეგისტრაციის პროცესი მიმდინარეობს. თუ არის რამე სიახლე და რაზე უნდა გაამახვილონ ყურადღება?***

— ამ პერიოდში რამდენიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება ექნებათ აბიტურიენტებს მისაღები. პირველ რიგში, ეს ეხება არჩევით საგანებს. რაც შეეხება ფაკულტეტებსა და უმაღლეს სასწავლებლების ჩამონათვალს, ამისთვის მათ რამდენიმე თვე აქვთ, აგვისტომდე შეუძლიათ გადაწყვეტილება შეცვალონ და საბოლოო არჩევანი გააკეთონ მას შემდეგ, როდესაც ისინი შეიტყობენ საკუთარ შედეგებს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე. მესამე წელია, რაც ეს სიახლე დაინერგა, რამაც გაამართლა. ბევრი შემთხვევაა, როდესაც აბიტურიენტი შედეგების ნახვის შემდეგ თავის არჩევანს რადიკალურად ცვლის. მინდა აბიტურიენტებს ვუთხრა, დაკვირვებით წაიკითხონ საინფორმაციო ბუკლეტი, სადაც დეტალური ინფორმაციაა აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებლებზე. ასეთი 64 უმაღლესი სასწავლებელია. ასევე დეტალური ინფორმაციაა ამ უმაღლეს სასწავლებლებზე, მათ არჩევანზე, თუ რომელი დამატებითი გამოცდა გამოაცხადეს სავალდებულო გამოცდად კონკრეტულ ფაკულტეტზე ჩასარიცხად. ასევე ინფორმაციაა სწავლების საფასურზე, როგორი კოეფიციენტები მიენიჭა საგამოცდო საგნებს და ა.შ. პროცედურის თვალსაზრისით დიდი ცვლილებები არ იგეგმება.

***— არჩევით საგანს სამოქალაქო განათლება დაემატა. რამ განაპირობა ამ საგნის შემოღება და ვისი ინიციატივით მოხდა ეს?***

— ინიციატივა ჩვენი იყო. შარშან ხელოვნების გამოცდა დავამატეთ. მხოლოდ იმ შემთხვევაში მოუწევს აბიტურიენტს სამოქალაქო განათლების ჩაბარება, თუ იმ ფაკულტეტზე სურს სწავლის გაგრძელება, სადაც ეს საგანია არჩეული. უმაღლეს სასწავლებელს აქვს შესაძლებლობა, რომ არა ერთი საგანი გამოაცხადოს სავალდებულო და არჩევითი საგნების ნუსხიდან, არამედ რამდენიმე. 1.227 საკონკურსო ადგილზე არის სამოქალაქო განათლება არჩეული. ეს იმის მანიშნებელია, რომ დროული და კარგი შეთავაზება იყო უმაღლესი სასწავლებლებისთვის.

***— სამოქალაქო განათლება უცხო ხომ არ არის აბიტურიენტებისთვის?***

— არ წარმოვიდგინოთ ისე, რომ აბიტურიენტს ბარიერი შევუქმენით. სამოქალაქო განათლება ან ისტორია — ასეთი არჩევანის უფლება აქვთ მათ. ვფიქრობთ, რომ სამოქალაქო განათლება არის საგანი, რომელსაც სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს სასკოლო განათლებაში. ეს არის სპეციფიური დისციპლინა. როდესაც დემოკრატიულ ქვეყანაზე ვსაუბრობთ, კარგად უნდა გავაცნობიეროთ, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოს შესაბამისი საზოგადოება აშენებს, სადაც საზოგადოების თითოეულ წევრს დიდი პასუხისმგებლობა გვაკისრია. ამის გაცნობიერება კი სასკოლო ასაკიდან უნდა მოხდეს. ამ საკითხს ძალიან სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს.

***— ერთიან ეროვნულ გამოცდაზე უცხო ენის მოსმენის ნაწილზე მინდა გკითხოთ. მშობლები ღელავენ, რომ ამ ნაწილისთვის მცირე დროა და საჭიროა დროის გაზრდა. რა შეგიძლიათ თქვათ?***

— ორი ქულით გაიზარდა მოსმენის ნაწილის დავალება, 8 ქულიანი იყო და 10 ქულიანი გახდა გრამატიკის ნაწილის ხარჯზე. შარშან გარკვეული სკეფსისი იყო, რომ გარკვეულ ბარიერს შეუქმნიდა აბიტურიენტებს, მაგრამ შედეგებმა გვაჩვენა, რომ ეს ნაწილი გაცილებით სახალისო და მისაღები აღმოჩნდა აბიტურიენტებისთვის, ვიდრე წერითი ნაწილი, რომელსაც 2005 წლიდან ვთავაზობთ აბიტურიენტებს. ძალიან მარტივი ფორმით იქნა შარშან შეტანილი ეს სიახლე და წელსაც მარტივი იქნება. მშობლებს აქვთ განცდა, რომ დრო არ ეყოფათ, მაგრამ მინდა ისინი დავამშვიდო და მოგიყვეთ იმ პროცედურაზე, თუ როგორ ტარდება ეს ნაწილი.

***— როგორ ტარდება?***

— ძალიან მოკლე ტექსტს ისმენენ და წინ პასუხების ფურცელი უდევთ. ყველა აბიტურიენტს ვაძლევთ რეკომენდაციას, რომ მოსმენის პერიოდშივე დაიწყონ კითხვებზე პასუხების გაცემა. მოსმენის ნაწილის სპეციფიკა სწორედ ის არის, რომ მოსმენის დროს დაიწყოს მუშაობა და კითხვებზე პასუხის გაცემა. შეცდომა იქნება აბიტურიენტის მხრიდან, თუ ტექსტის კითხვის დასრულებას დაელოდება და მერე დაიწყებს კითხვებზე პასუხების გაცემას. მოსმენის პერიოდშივე გაცილებით უფრო ეფექტურია პასუხების გაცემა, მოსმენილის გააზრება სწორედ ამას გულისხმობს. ტექსტის კითხვის დასრულების შემდეგ არის პაუზა. ამ დროის გამოყენების უფლებაც აქვთ, რომ გადახედონ, თუ რა პასუხები აირჩიეს მათ. ერთი და იგივე ტექსტს ორჯერ ისმენს აბიტურიენტი, შემდეგ არის პაუზა, რომ კიდევ გადახედოს გაცემულ პასუხებს. ამ პროცედურას კიდევ თუ დავამატებთ 15 წუთს, მერწმუნეთ, ვერაფერში გამოიყენებს ამ დროს. ეს მოდელი შარშან უკვე გამოიცადა.

***— შედეგები როგორ იყო?***

— 36 ათასმა აბიტურიენტმა ჩააბარა უცხო ენის გამოცდა. არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა, რომ რომელიმე აბიტურიენტს ეთქვა, რომ ამ ნაწილისთვის მას კიდევ სჭირდება დამატებითი დრო. შარშან საგამოცდო ცენტრებშიც ვცდილობდით, რომ აბიტურიენტებს მოსმენის პროცესშივე დაეწყოთ პასუხების გაცემა. ამდენად, აზრი არ აქვს დროის დამატებას. მოსმენის და წერის ნაწილის ტესტები რომ შევადაროთ, გაცილებით უკეთესი შედეგი აჩვენეს მოსმენის ნაწილში, ვიდრე გრამატიკისა და წერის ნაწილში. ეს მეტყველებს იმაზე, რომ მარტივი ფორმაა და მნიშვნელოვანი. ჩემი აზრით, ყველაზე ნაკლებად მოსმენის ნაწილის უნდა ეშინოდეთ.



***— ქალბატონო მაია, დიდი ვნებათაღელვაა, თუ რა ფორმით მოხდება ერთიანი ეროვნული გამოცდების ცვლილება. შეიძლება, რომ ერთიანი ეროვნული გამოცდები სკოლის გამოსაშვებმა გამოცდებმა ჩაანაცვლოს? განათლების მინისტრმა ამ გამოცდების დაახლოებასა შერწყმაზე გააკეთა განცხადება. თქვენი პოზიცია როგორია ამ საკითხზე?***

— სრულიად უსაფუძვლოდ ატყდა ეს აჟიოტაჟი. შეიძლება მინისტრმა ახსენა დაახლოება, შერწყმა თუ გაუქმება, ამას არ აქვს მნიშვნელობა, რადგან დარწმუნებული ვარ, რომ ასეთი გაუაზრებელი ნაბიჯები არ გადაიდგმება. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ამ ცვლილებების დაწყება საგამოცდო მოდელის რეფორმირებით. საგამოცდო მოდელი კონკრეტულ პრინციპებს ეფუძნება. თუ ეს პრინციპები არ შეიცვალა, სრულიად ზედმეტია იმაზე საუბარი, თუ როგორი უნდა იყოს საგამოცდო მოდელი. გამოსაშვები გამოცდების სისტემის შემოღება არ იყო ჩვენი ინიციატივა. როდესაც ძალიან ბევრი პრობლემაა სასკოლო განათლების სისტემაში, ახალი საგამოცდო მოდელის შემოტანა უფრო დააზიანებს სასწავლო პროცესს. თუმცა, გადაწყვეტილება იქნა მიღებული. ჩვენ მაშინ პილოტირებას ვითხოვდით, რომ მოსწავლეები არ დასჯილიყვნენ, რომ პირველი წელი საპილოტე ყოფილიყო, მაშინ ვერც ეს გავიტანეთ და რეალური გამოცდა ჩაგვატარებინეს. არ ვარ მომხრე, რომ რაც შეიძლება მეტი გამოცდა იყოს, თუნდაც სასკოლო განათლების პერიოდში ან შემდეგ ეტაპზე. მიუხედავად ამისა, როდესაც ცვლილებაზე ვსაუბრობთ, უნდა ვიცოდეთ, რა გვინდა თუნდაც თვითონ საგამოცდო მოდელისგან, რას უნდა ემსახურებოდეს ეს ცვლილება? რა პრინციპებზე უნდა იყოს დაფუძნებული და რას უნდა ითვალისწინებდეს? თუ ეს პრინციპები არ შეიცვალა, მაშინ სრულიად უსაფუძვლო გამოდის, მეტიც, თვითმიზანი გამოდის — გინდა თუ არა, რაღაც შევცვალოთ.

***— ერთ-ერთი არგუმენტია, რომ ძალიან ბევრი გამოცდის ჩაბარება უწევთ აბიტურიენტებს. რამდენად მისაღები არგუმენტია?***

— კი ბატონო, მაგრამ ეს არ არის სერიოზული არგუმენტი. თუ საერთოდ არ იქნება გამოცდები, მაშინ ყველანი ბედნიერები ვიქნებით. გამოცდების რაოდენობა რაზეა დამოკიდებული? რაღაც კონკრეტულ მიზანს ემსახურება კონკრეტული საგამოცდო მოდელი. გამოსაშვები გამოცდები რომ შემოიღეს, მაშინ მინისტრი ამბობდა, რომ მას უნდა სკოლაში მოსწავლეების დაბრუნება, რომ ატესტატი ობიექტურად გაიცეს და ა.შ. რაც შეეხება ერთიან ეროვნულ გამოცდებს, 2004 წელს ძალიან ბევრი პრინციპი შეიცვალა. ყველაზე მნიშვნელოვანი, რასაც ეს მოდელი ითვალისწინებს, უმაღლესი სასწავლებლების დაფინანსების პრინციპია. გრანტის განაწილების პრინციპი. აკრედიტაციის პრინციპი. ამას ეყრდნობა მოდელი, რომელიც ჩვენ შევთავაზეთ. ამ მოდელმა უნდა უზრუნველყოს საუკეთესო აბიტურიენტების შერჩევა უმაღლესი სასწავლებლებისთვის. ასევე უნდა გაითვალისწინოს აკრედიტაციის პრინციპი. თუ უმაღლეს სასწავლებელს საკონკურსოდ 100 ადგილი აქვს გამოცხადებული, მას 101 სტუდენტის მიღების უფლება არ აქვს. მეორეს მხრივ, უნდა შევუწყოთ ხელი უმაღლეს სასწავლებელს, რომ 100 ადგილი შეივსოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, არსებული დაფინანსების სისტემით უმაღლესი სასწავლებელი ძალიან ცუდ ფინანსურ მდგომარეობაში აღმოჩნდება და შეიძლება დახურვის რისკის წინაშეც აღმოჩნდეს. უმაღლესი სასწავლებლების დაფინანსების პრინციპები რომ არ გაამართლებდა, ამაზე იმთავითვე ვსაუბრობდით. დაფინანსების არსებული სისტემა აუცილებლად არის შესაცვლელი, მაგრამ როგორ უნდა შეიცვალოს, არავინ საუბრობს. გამოსაშვები გამოცდების გამოყენება მისაღები გამოცდების მიზნით — ეს მოდელი ბევრ ქვეყანაში არსებობს, ეს არის ე.წ მატურა გამოცდები. ცენტრალიზებულად ტარდება მატურა გამოცდა, ეს არის გამოსაშვები გამოცდა, შედეგები პარალელურად გამოყენებულია უმაღლეს სასწავლებლებში ჩასარიცხად. ის პრინციპები თუ შევინარჩუნეთ, რომელიც უკვე არის ქვეყნაში, როდესაც უმაღლესი საწავლებელი დაინტერესებულია, რომ აბიტურიენტი მოიზიდოს და ამისთვის ყველაფერი გააკეთოს, მატურა გამოცდები ვერ იმუშავებს. უმაღლესმა სასწავლებელმა თავისი მოთხოვნები წინასწარ უნდა გამოაცხადოს. ასეთ შემთხვევაში ის დიდი რისკის ქვეშ დგება. ბევრი რაღაც არის შესაცვლელი და გასაკეთებელი. ამის შემდეგ ამ ორგანიზაციას არ გაუჭირდება ახალ პრინციპებზე ახალი საგამოცდო მოდელის მორგება.

***— პრინციპში, როგორც ჩანს, არ ეწინააღმდეგებით ახალი მოდელის შემოღებას...***

— თუ ნათელი და მკაფიო იქნება, რას ემსახურება საშუალო განათლება, რა გვინდა კონკრეტული საფეხურის ბოლოს, თუ არსებულმა მოდელმა არ იმუშავა, სხვა უნდა შევთავაზოთ. გადაწყვეტილებას, რომელ საფეხურზე რა საგამოცდო სისტემა იყოს, განათლების სამინისტრო იღებს, მაგრამ ნათლად უნდა იყოს ჩამოყალიბებული, რა გვინდა.

***— კონსულტაციები დაიწყო?***

— რასაკვირველია, არა. სტრატეგიულ დოკუმენტში ეს ყველაფერი ზოგადი ფრაზებით არის შემოფარგლული.

# ზაზა დავითაია: ნაციონალების ნარჩენები ისევ მდევნიან“

## პოლიტიკური პატიმარი ეს რეგალია არ არის, სინდისის მდგომარეობაა

თამარ ნინიძე

**პარლამენტში შეიქმნა ორი კომისია, რომელიც შეისწავლის როგორც წამების, არაადამიანური მოპყრობის შესახებ შეტანილ საჩივრებს, ასევე ქონების უკანონოდ ჩამორთმევის საკითხებს, მაგრამ დღემდე გაურკვეველია პოლიტპატიმრის სტატუსის მქონე პირთა მომავალი. სახელმწიფომ ამ კატეგორიის ადამიანებს კომპენსაცია უნდა გადაუხადოს. ამ საკითხზე „ახალი თაობა“ ესაუბრა „ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტს და ყოფილ პოლიტპატიმარს ზაზა დავითაიას.**



***— პარლამენტში ორი ჯგუფი შეიქმნა: გედევან ფოფხაძის ჯგუფი შეისწავლის უკანონოდ ჩამორთმეული ქონების თაობაზე საჩივრებს, ეკა ბესელიას ჯგუფი კი, წამებისა და არაადამიანური მოპყრობის შესახებ შემოსულ საჩივრებს. ხომ არ არის დაგვიანებული ამ ჯგუფების შექმნა?***

— სწორედ ამას ვფიქრობ მეც, ეს არ არის ის, რასაც ჩვენ „ქართული ოცნება“ დაგვპირდა, როცა მოდიოდა ხელისუფლებაში. ეს არ არის სამართლიანობის აღდგენა, ეს ბევრად უფრო მასშტაბური პროცესია, რომელიც პირველივე რიგში უნდა დაწყებულიყო. ეს უნდა ყოფილიყო ადამიანების შელახული ღირსების აღდგენის პროცესი. სამწუხაროდ, ახალმა ხელისუფლებამ ვერ მოახერხა სამართლიანობის აღდგენის პროცესი მასშტაბურად დაეძრა და ხალხისთვის მიცემული პირობა შეესრულებინა. ღმერთმა არ ქნას, რომ ეს კომისიები ხალხისთვის თვალში ნაცრის შეყრა იყოს და არანაირი შედეგი არ დაიდოს. უამრავი ადამიანი ვიცი, რომელიც წამების მსხვერპლია და ვერ მოახერხა შელახული ღირსების აღდგენა. ვიცი ასევე ბევრი ადამიანი, ვისაც ქონება წაართვეს და ვერ მოუხერხებია მისი დაბრუნება. ეს ხალხი დათრგუნული და სულში ჩაფურთხებულია. ასეთი ადამიანების ქომაგობა არამცთუ დროულია, არამედ საკმაოდ დაგვიანებულიცაა იმისთვის, რომ 2016 წლის არჩევნებში „ქართულმა ოცნებამ“ კვლავ წარმატება მოიპოვოს. თუმცა რამდენიმე ათეულ საქმეზეც რომ დადგეს დადებითი შედეგი, მაინც კარგი იქნება.

ვერც ადამიანთა წამება და ვერც წართმეული ქონება სრულყოფილად ვერ შეფასდება თუ არ მოხდება იმ რეჟიმის შეფასება. ყველა

გაგრძელება მე-5 გვერდზე

გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!
სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე
ქ-ნი ქეთევანი
მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# ირმა ნადირაშვილი: თამარ ფხოველიშვილს 2 მილიონის გაფლანგვა ბრალდება“

## დავით შავლიაშვილი: „საეჭვო გადარიცხვები აღმოვაჩინეთ“

### შსს: „თამარ ფხოველიშვილი დაკავებული არ არის, მიმდინარეობს გამოძიება“

გუშინ, 13 თებერვალს, ნაციონალურმა მოძრაობამ გაავრცელა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ სახელმწიფო სახსრების ორი მილიონზე მეტი ლარის გაფლანგვის ბრალდებით, 'საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის' ყოფილი მთავარი ბუღალტერი, ამჟამად სატყეო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე თამარ ფხოველიშვილი დააკავეს.






— თამარ ფხოველიშვილი დააკავეს იმის გამო, რომ „გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიიდან“ უკვალოდ არის გამქრალი 2,5 მილიონი ლარი და სამართალდამცველები ეძებენ ამ ფულს. მინდა გამოვთქვა ჩემი ვარაუდი, რომ ამ ფულმა, დიდი ალბათობით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან თამაზაშვილების და ღარიბაშვილების ოჯახის ჯიბეში გადაინაცვლა და ამის საფუძველიც მაქვს. თამარის გარდა, დაკითხვებზე ყოველდღე დაჰყავთ ჯაბა შავგულაშვილი, რომელიც ამ კომპანიაში არის შესყიდვების სამსახურის უფროსი და ნათელმირონობა აკავშირებს ღარიბაშვილის ოჯახთან, — განაცხადა დეპუტატმა ნაციონალური მოძრაობიდან ირმა ნადირაშვილმა.

ნაციონალების თქმით, „ამ საკითხზე გამოძიება შინაგან საქმეთა სამინისტრომ მას შემდეგ დაიწყო, რაც ბიძინა ივანიშვილმა მწვანე შუქი აუნთო ღარიბაშვილი-თამაზაშვილების კლანის წინააღმდეგ ნადირობას.“

ნადირაშვილი ამბობს, რომ რეგიონული განვითარების სამინისტროს სსიპ-ში არსებულ კორუფციულ პროცესებზე „ნაციონალური მოძრაობა“ ორი წლის წინაც ლაპარაკობდა, როდესაც მინისტრი დავით ნარმანია იყო, მაგრამ მაშინ ხელისუფლებამ ამ მიმართულებით ღონისძიებები არ გაატარა.

დეპუტატის თქმით, კომპანიის ყოფილი ბუღალტერი თამარ ფხოველიშვილი სწორედ ამ კორუფციული ბრალდებების გამო არის დაკავებული.

გუშინვე რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ დაადასტურა, რომ შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ 2013-14 წლების ფინანსური და ბუღალტრული ანგარიშების ირგვლივ გამოძიება მიმდინარეობს.

ამის შესახებ მინისტრმა დავით შავლიაშვილმა ანტიკორუფციული სააგენტოს წარმომადგენელთან ერთად საგანგებო ბრიფინგი გამართა.

**დავით შავლიაშვილი:**

— საკადრო გადაადგილებები მოხდა სამინისტროში, მათ შორის გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიაში, შეიცვალა მენეჯმენტი მთლიანად. ახალი მენეჯმენტის მოსვლის შემდეგ ჩვენ გვქონდა კონსულტაციები ერთმანეთთან, მენეჯმენტმა მიიღო დავალება, რომ წყლის კომპანიის შესწავლა სრულად მოხდეს, ასევე ფინანსური ანალიზი; აგრეთვე მოითხოვეს კონტროლის პალატის შემოყვანა და სრული აუდიტის გაკეთება წყლის კომპანიაში.

ამ ფინანსური ანალიზის შემდეგ მოხდა გარკვეული საეჭვო ვითარების, დარღვევების აღმოჩენა. 2013 წლის დაახლოებით მარტის თვიდან, 2014 წლის ბოლომდე, იყო რაღაც საეჭვო გადარიცხვები, რაც წყლის კომპანიის ხელმძღვანელობამ ოფიციალურად გადმოაგზავნა სამინისტროში პირადად ჩემს სახელზე. ჩვენ შევისწავლეთ სამინისტროში ეს საკითხი, მივიჩნიეთ, რომ იყო არსებული დარღვევები და შსს-ს ანტიკორუფციულ სამსახურს გადავუგზავნეთ სრულად მასალები. ეს იყო ამა წლის 4 თებერვალს. გამოძიება მუშაობს და, მისი ინტერესებიდან გამომდინარე, მე მეტ კომენტარს ვერ გავაკეთებ.

ბრიფინგზე გამომძიებელმა გიორგი ქურდაძემ განაცხადა, რომ ანტიკორუფციულმა სააგენტომ უკვე ჩაატარა მთელი რიგი საგამოძიებო მოქმედებები, თუმცა დაკავებული არავინ არის.

**გიორგი ქურდაძე:**

— 2014 წლის 4 თებერვალს, საქართველოს შს სამინისტროს ანტიკორუფციულ სააგენტოში საქართველოს ინფრასტრუქტურისა და რეგიონალური განვითარების სამინისტროდან შემოვიდა მასალები საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიაში, 2013-2014 წლებში თანხების შესაძლო მითვისების ფაქტთან დაკავშირებით, რის საფუძველზეც, იმავე დღეს დაიწყო გამოძიება სსსკ 182-ე მუხლის მეორე ნაწილის „დ“ და მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. დღეისათვის საქმეზე ჩატარებულია არაერთი საგამოძიებო მოქმედება, დაკითხული არიან მოწმეები, ამოღებულია დოკუმენტაცია როგორც წყალმომარაგების კომპანიიდან, ისე შესაბამისი საბანკო დაწესებულებებიდან. ჩატარებულია თემატური რევიზია. გამოძიების მიმდინარე ეტაპზე საქმეზე არც ერთი პირი დაკავებული არ არის.

შსს-ს განმარტებით, მუხლი, რომლითაც გამოძიება მიმდინარეობს, ითვალისწინებს შვიდიდან თერთმეტ წლამდე თავისუფლების აღკვეთას.

„ინტერპრესნიუსი“ დაუკავშირდა გარემოს დაცვის სამინისტროს, სადაც განაცხადეს, რომ სატყეო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე თამარ ფხოველიშვილი არ მუშაობს. „ინფო 9“-ს კი გარემოს დაცვის სამინისტროში უთხრეს, რომ ფხოველიშვილი უწყებაში მხოლოდ ერთი თვის განმავლობაში მუშაობდა.

**გიორგი ქურდაძე, შსს ანტიკორუფციული სააგენტოს წარმომადგენელი:**

— 2015 წლის 4 თებერვალს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიკორუფციულ სააგენტოში საქართველოს ინფრასტრუქტურის და რეგიონალური განვითარების სააგენტოდან შემოვიდა მასალები „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების“ კომპანიაში 2013,14 წლებში თანხების შესაძლო მითვისების ფაქტთან დაკავშირებით. რის საფუძველზეც იმავე დღეს დაიწყო გამოძიება სსსკ-ს 182-ე მუხლის 2-ე ნაწილის „დ“ და 3-ე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით, გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. დღეისათვის ჩატარებულია არაერთი საგამოძიებო მოქმედება, დაკითხულები არიან მოწმეები, ამოღებული დოკუმენტაცია როგორც წყალმომარაგების კომპანიიდან, ასევე შესაბამისი საბანკო დაწესებულებებიდან. ჩატარებულია თემატური რევიზია.გამოძიების მიმდინარე ეტაპზე, საქმეზე არცერთი პირი დაკავებული არ არის. გამოძიების შედეგების შესახებ საზოგადოება დაუყოვნებლივ იქნება ინფორმირებული.

# ზაზა დავითაია: ნაციონალების ნარჩენები ისევ მდევნიან“

დასაწყისი მე-5 გვერდზე

პრობლემა გამომდინარეობს ამ რეჟიმის პირსისხლიანი სახიდან. თეორემის ჩამოყალიბება აქსიომების გარეშე შეუძლებელია. როცა ხელისუფლება ამბობდა, არ აქვს რესურსი იმისათვის, რომ აუნაზღაუროს ადამიანებს დაკარგული ქონება, ახლა გაუჩნდა ამის შესაძლებლობა? თუ უნდათ ნაციონალებს ჩამოართვან წართმეული ქონება, როგორ უნდა გააკეთონ ეს, თუ ნაციონალების მმართველობა არა აქვთ შეფასებული. შესაძლოა ლოკალურ წარმატებას მიაღწიოს ხელისუფლებამ თუ ამ ლაბირინთებში გაღწევას შეძლებს. ეს მასშტაბური წარმატება ვერ იქნება.

***— ფართომასშტაბიანი ამნისტიის შემდეგ პოლიტპატიმრებისგან მსმენია, რომ ამ ამნისტიის გარდა მათ ვერაფერი სხვა ვერ მიიღეს ხელისუფლებისგან, მინდა გკითხოთ, რას ელოდებოდით ხელისუფლებისგან, იმედგაცრუებული ხომ არ ხართ და როგორ ფიქრობთ, თქვენთან მიმართებაში როგორ უნდა მოიქცეს?***

— იმედგაცრუება, რა თქმა უნდა, არის, სტატუსის მიღება ჯერ კიდევ არ ნიშნავს ყველაფერს. მე არ ვგულისხმობ ოცთეთრიან სამგზავრო ტარიფს და სხვა შეღავათებს, როცა დაადგენ, რომ ადამიანი პოლიტიკური ნიშნით იყო დაპატიმრებული და, აქედან გამომდინარე, რეპრესირებულია, მარტო ეს სტატუსი არ უნდა მისცე. პოლიტპატიმრის სტატუსი ვერ მიიღო მეორე საკმაოდ მნიშვნელოვანმა ნაწილმა, ეს ნაწილი, შესაძლოა, კიდეც აღემატებოდეს სხვების კატეგორიას, საუბარია პირველ პოლიტპატიმრებზე ჩემი ჩათვლით, რომელიც სააკაშვილმა პირველ რიგში დააპატიმრა, თავიდან ბოლომდე მოვიხადე ეს სასჯელი. მხოლოდ იმ ნიშნით უნდა დავეჩაგრე ხელისუფლებას, რომ 2012 წლის შემდეგ არ ვიყავი ციხეში? მე ხომ მოვიხადე სასამართლოს მიერ დაკისრებული სასჯელი, ოთხი წელი გავატარე ციხეში, მოვწყდი ჩემს ახლობლებს, კვლავ მდევნიან ნაციონალების ნარჩენები, ქუჩაში მიწყობენ თავდასხმას. დღემდე მაყვედრიან, რომ თითქოს ვაწყობდი შეიარაღებულ შეთქმულებას. რამდენიმე პოლიტიკური პარტიის ლიდერი დააპატიმრეს ჩემთან ერთად, ეს იყო სუფთა პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრება. ამიტომ ვართ ჩვენ პოლიტპატიმრები. ასეთი ადამიანები შემიძლია ჩამოვთვალო. მაგალითად, ცოტნე გამსახურდია, კობა კობალაძე, ნორა კვიციანი. ყველა ღირსეული ადამიანია, პოლიტიკური მოტივით მოხვდნენ ციხეში. ეკა ბესელიამ ყველაზე კარგად იცის, რომ პირველი პოლიტპატიმრები სწორედ ესენი არიან. რატომღაც ყველას დაავიწყდა, რომ მესამე კომისიაც შეექმნათ, რომელიც დაადგენდა პოლიტპატიმრებს და მისცემდა მათ გარკვეულ კომპენსაციებს. პოლიტიკური პატიმარი — ეს რეგალია არ არის, სინდისის მდგომარეობაა. ადამიანი თავს თვლის შინაგანად პოლიტიკურ პატიმრად. შეიძლება ეს სტატუსი მას არ მისცეს რომელიმე ხელისუფლებამ ან უწყებამ.

***— ნანა კაკაბაძემ გაიხსენა, რომ როცა ის პოლიტპატიმარი იყო საბჭოთა რეჟიმის დროს, შემდეგ ის იღებდა ხელისუფლებისგან ყოველთვე კომპენსაციას. ამაზე თუ გქონიათ საუბარი ხელისუფლების წარმომადგენლებთან?***

— როცა ჩამოვარდა საუბარი ამ თემაზე, ხელისუფლებამ იმ ნიშნით დაამუხრუჭა, რომ კომპენსაციები მიაღწევდა იმ ზღვარს, რომ ბიუჯეტიდან გამომდინარე ხელისუფლება ამის ანაზღაურებას ვერ შეძლებდა. პოლემიკა სჭირდება ამ საკითხს. ოთხწელიწადნახევარი უსამართლოდ გავატარე ციხეში, ტანჯვა გამოვიარე იმიტომ, რომ პირობები იცით, რაც იყო ციხეებში. გარდა ამისა, საყვარელ ადამიანებს დამაშორეს, სამშობლოს მტრის იარლიყი მომაწებეს უსაფუძვლოდ, მე კი მთელ შეგნებულ ცხოვრება სამშობლოს სიყვარულში ვატარებ. ჩემთვის ღირსების აღდგენაა მთავარი. არავინ იტყვის უარს მატერიალურ კომპენსაციაზე, მაგრამ ჩემი სამშობლო იმდენად მიყვარს, რომ შემიძლია მოვითმინო იქამდე, სანამ ქვეყანა ფეხზე მყარად არ დადგება. ჩემი ასეთი დამოკიდებულებაც კი არასწორია იმის ფონზე, როცა ხელისუფლების წარმომადგენლები თვითონ ინიშნავენ უზარმაზარ პრემიებს და ხელფასებს, ამ დროს კი ჩემნაირი ადამიანების ტანჯვის ხარჯზე მოვიდნენ ხელისუფლებაში. უხერხულად მაინც ხომ უნდა იგრძნონ თავი. დღემდე უსამართლოდ რჩებიან ციხეში სააკაშვილის დროს დაპატიმრებული ადამიანები, უვადოდ აქვთ მისჯილი პატიმრობა. მიმდინარეობს ამ მსჯავრდებულების შიმშილობის აქცია, ბევრს სრულიად უდანაშაულოდ აქვს უვადოდ მისჯილი. ბევრს არასწორად მიყენებული მუხლი აქვს — ბაჩო შარაშენიძეს, გია გვიჩიანს.

***— უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეზე მინდა გკითხოთ, ზაქარია ქუცნაშვილმა განაცხადა, რომ დამოუკიდებლად მიიღო გადაწყვეტილება, წარადგინოს თავისი კანდიდატურა. ამასთან დაკავშირებით უკმაყოფილება გამოითქვა საპარლამენტო უმრავლესობაში, რომ მას არ ჰქონია საუბარი უმრავლესობის დეპუტატებთან. რა თვისებები უნდა ჰქონდეს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, უნდა იყოს ის პოლიტიკური გუნდის წევრი თუ არა?***

— იმის მიუხედავად, რომ ჩემი მეგობარია ზაქარია ქუცნაშვილი, მას მხარს ვერ დავუჭერ, ჩემი სიმპათია არის სხვა კანდიდატისადმი და ეს გახლავთ გია მეფარიშვილი. ამ პოსტს ვინც დაიკავებს, ის ადამიანი მოწოდებული უნდა იყოს იმისთვის, რომ შეცვალოს მოსამართლეთა ის კორპუსი, რომელმაც ქვეყანაში სამართალი კი არა, უსამართლობა დაამკვიდრა. ამას სჭირდება პრინციპული და მსოფლმხედველობრივი კონცეფცია და ასევე პოლიტიკური ნება და დამოუკიდებლობა. აუცილებლად გამოჩნდებიან გავლენიანი თანამდებობის პირები, რომლებიც მოსამართლეებს გაუწევენ ლობირებას, ვინც დაიკავებს ამ პოსტს, პირველ რიგში, უნდა იყოს გამორჩეული იმით, რომ ებრძოდა სააკაშვილის რეჟიმს. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე უნდა იყოს ის ადამიანი, რომელიც გაწმინდს ამ ორგანოს სააკაშვილის დროინდელი მოსამართლეებისგან, იმ ხალხისგან, ვინც უკანონო განაჩენები გამოიტანა. გია მეფარიშვილი არის პრინციპული, პატიოსანი, წესიერი ადამიანი, ვინც დაუფარავად იბრძოდა სააკაშვილის წინააღმდეგ და აქტიურობდა ამ ბრძოლაში. ჩემთვის მისაღებია ბატონი გიას პრინციპულობა და დამოუკიდებლობა. მას არასოდეს შეუსრულებია ვინმეს დაკვეთა და სიმართლეს ემსახურებოდა. ასეთი უნდა იყოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე.

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# ანზორ აბრალავა: სააკაშვილი თავის გარემოცვას ხრამში გადაჩეხავს“

## „ახალი კრიზისული სიტუაციების შექმნა საჭირო არ არის“

მარიკა მჭედლიშვილი

**რატომაა ატეხილი ასეთი აჟიოტაჟი საპარლამენტო უმრავლესობაში უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობასთან დაკავშირებით? რა ხდება „ქართულ ოცნებასა“ და „თავისუფალ დემოკრატებს“ შორის? რა შარში გაეხვივნენ უდანაშაულო პირები, რომლებიც სააკაშვილს გაჰყვნენ უკრაინაში? — „ახალი თაობა“ ამ თემებზე ესაუბრა ყოფილ დეპუტატს, პარტია „სოლიდარობის“ თავმჯდომარე ანზორ აბრალავას.**

***— უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის დამტკიცებასთან, კანდიდატურების შერჩევასთან დაკავშირებული უთანხმოება საპარლამენტო უმრავლესობაში ღია დაპირისპირებაში გადაიზარდა. რისი მანიშნებელია ეს?***

— როცა ქვეყანაში ამდენი პრობლემაა, ასეთ უმნიშვნელო საკითხებზე ამხელა კამათი, ცხარე კინკლაობა და ყურადღების გადატანა სწორი არ არის. არც ის მიმაჩნია მართებულად, რომ აწესებენ ახალ შეზღუდვებს. ეს რეგულაციები შემოაქვთ კონსტიტუციის მიღმა. ვგულისხმობ კრიტერიუმებს, რომლებიც კონსტიტუციისა და კანონების გარეშე, ზეპირად დაუდგინეს კანდიდატებს, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პოსტის დაკავების მსურველებს. რისი მანიშნებელია ეს? ალბათ, ზოგიერთებს კრიზისის შექმნა უნდათ. როგორც ვატყობ, ჩვენი საზოგადოება კრიზისულია. საზოგადოების ბევრ წარმომადგენელსა და პოლიტიკოსს ცხოვრება არ შეუძლია კრიზისებისა და პრობლემების გარეშე. ამ საკითხშიც შექმნეს კრიზისი და კონფლიქტი, თორემ ეს მნიშვნელოვანი, მაგრამ მშვიდად განსახილველი საკითხია და ამაზე ამდენი კინკლაობა წარმოუდგენელი იყო.



***— ასეთ სიტუაციაში შეიძლება დამტკიცებისას თავმჯდომარის კანდიდატურაც ჩავარდეს?***

— არ ვიცი. წარმოდგენილ კანდიდატურებს შორის ბევრია ღირსეული და მხარდასაჭერი. ასეთები არიან ახალგაზრდებშიც და საშუალო ასაკის კანდიდატურებშიც. არ ვიცი, რატომ მოიგონეს ეს შეზღუდვები. ეს ზედმეტია და არ შეესაბამება კანონმდებლობას.

***— უზენაესი სასამართლოს ახალ თავმჯდომარეს მოუწევს თავისი წვლილის შეტანა სამართლიანობის აღდგენის პროცესში. თქვენი აზრით, როგორ მიმდინარეობს ეს პროცესი?***

— სამართლიანობის აღდგენის მხრივ ნაბიჯები გადაიდგა. რა თქმა უნდა, ხალხს დიდი მოლოდინი და მოთხოვნები აქვს. ძალიან ბევრი საქმეა გასაკეთებელი. არ არსებობს გახმაურებული და გაუხმაურებელი მკვლელობები. არიან ადამიანები, რომლებმაც სიმართლისათვის ბრძოლას სიცოცხლე შესწირეს. სამართლიანობის აღდგენას ხელისუფლება მასშტაბურად უნდა მიუდგეს. განსახილველია მკვლელობებიც, ქონების წართმევის შემთხვევებიც და ყველა უსამართლობა და დანაშაული, რასაც წინა ხელისუფლება 2012 წლამდე აკეთებდა.

***— ბოლო დღეებში განსაკუთრებით დაიძაბა ურთიერთობა ხელისუფლებასა და ირაკლი ალასანიას „თავისუფალ დემოკრატებს“ შორის. პოლიტოლოგი ხათუნა ლაგაზიძე მიიჩნევს, რომ ნაცმოძრაობისა და ირაკლი ალასანიას ერთ ქვაბში მოხარშვა ხელისუფლების მიზანმიმართული კამპანიის ნაწილია, რომლითაც ის ცდილობს ალასანიას პოზიციების შესუსტებას.***

— პოლიტიკურ აქტიურობას ვერავის აუკრძალავ. თუ ვინმე „თავისუფალ დემოკრატებს“ ნაციონალურ მოძრაობასთან აახლოებს ან აიგივებს, ეს არ არის სწორი. ამ პარტიაში ბევრი პროფესიონალია. „თავისუფალი დემოკრატები“ განსაკუთრებით დიპლომატიური გამოცდილებით გამოირჩევიან. სხვა საქმეა, რომ ხანდახან პოლიტიკოსები რეალობას მოსწყდებიან ხოლმე და საკუთარ რეიტინგს გადამეტებულად აფასებენ. აქტიურობაში ცუდი არაფერია. ისეთი შთაბეჭდილებაა, რომ ზოგს აქედანაც უნდა პრობლემების შექმნა.

***— სამართლიანობის დამყარება დამნაშავეების დასჯასაც გულისხმობს. ბევრი მათგანი, ვინც პასუხი უნდა აგოს, უკრაინაში საქმიანობს.***

— ნაცმოძრაობის წევრების უკრაინაში გამწესება დიდი პოლიტიკის ნაწილია. ძალიან მენანებიან ის ადამიანები, რომლებსაც წინა რეჟიმის დროს დანაშაული არ ჩაუდენიათ, ნაცმოძრაობას ბოლო დროს დაუკავშირდნენ და ახლა სააკაშვილის გვერდით არიან. სააკაშვილი კალაპოტიდანაა ამოვარდნილი და ამ უდანაშაულო ხალხს ხრამში გადაჩეხავს! ჩვენ უკრაინაში წასულ ყველა ქართველს ერთნაირად არ უნდა მივუდგეთ. ისედაც ძალიან ცოტანი ვართ და ერთმანეთის მიმართ აგრესია არ უნდა გამოვიჩინოთ. ჩვენც ცივი გონებით უნდა შევხედოთ მოვლენებს და უკრაინაში მომუშავეებმაც. ისინი არანორმალურ სააკაშვილს გვერდით არ უნდა დაუდგნენ.

***— რას უნდა ველოდოთ კალაპოტიდან ამოვარდნილი დიდი ბერკეტების მქონე ადამიანისგან?***

— როცა საქართველოში სიტუაცია აირევა, სააკაშვილი უბედურებას დაატეხს ქვეყანას. ის ნებისმიერ საბაბს გამოიყენებს იმისთვის, რომ ანტისახელმწიფოებრივი ქმედებები განახორციელოს. მისი ვერაგობა და სისასტიკე ქვეყანამ უკვე გამოცადა. მასთან მყოფ ადამიანებს ვურჩევ, არ ჩაებან მის ქმედებებში.

# „ერთსულოვნება“ ბიძინა ივანიშვილს მხარდაჭერას სთხოვს

გულიკო ბალაძე

ბიძინა ივანიშვილს 15 თებერვალს ჭადრაკის სასახლეში იწვევენ

მივა თუ არა ბიძინა ივანიშვილი ჭადრაკის სასახლეში კოალიცია „ერთსულოვნების“ ღონისძიებაზე, ცნობილი არ არის. თუმცა, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა გაერთიანება, კოალიცია „ერთსულოვნება“ 2015 წლის 15 თებერვალს, 15 საათზე, ვერის ბაღში მდებარე ჭადრაკის სასახლეში მართავს შეკრებას.

კოალიცია „ერთსულოვნების“ წარმომადგენლები იწყებენ ხელმოწერების შეგროვებას, გეგმავენ, საყოველთაო-სახალხო მიმართვა გაუგზავნონ საქართველოს მთავრობას, პრეზიდენტსა და პარლამენტს მოთხოვნით — დაუყოვნებლივ შემუშავდეს და განხორციელდეს ქვეყანაში საყოველთაო დასაქმების სახელმწიფო სტრატეგია. კოალიცია „ერთსულოვნებას“ ყოფილ პრემიერ ბიძინა ივანიშვილს მხარდაჭერა უნდა.

როგორც კოალიცია ერთსულოვნების“ თავმჯდომარე მიხეილ ანდღულაძემ „რეპორტიორში“ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, მათ ამ მიზნით ბიძინა ივანიშვილს წერილი მისწერეს და აღნიშნულ ღონისძიებაზე მიიწვიეს. ამიტომ ყოფილ პრემიერს 15 თებერვალს ჭადრაკის სასახლეში ელოდებიან.

— აღნიშნულ შეკრებაზე შეიქმნება საზოგადოებრივი კოლეგია, რომელშიც თემატიკის მიხედვით შექმნილი ჯგუფები წარმოადგენენ ქვეყანაში დასაქმების ეროვნულ კონცეფციებს ხელისუფლებისთვის წარსადგენად. — განაცხადა კოალიცია „ერთსულოვნების“ წარმომადგენელმა მიხეილ ანდღულაძემ.

უმუშევრობა და დასაქმების პრობლემები ჩვენი ქვეყნისთვის ახალი არ არის. აღნიშნული პრობლემა ყველა ხელისუფლების წინასაარჩევნო პროგრამაში შედიოდა, დაწყებული შევარდნაძიდან, დამთავრებული „ქართული ოცნებით“.

საზოგადოებას ახსოვს „მილიონი სამუშაო ადგილის“ შექმნის შეპირებაც, მაგრამ დღემდე ეს პრობლემა პრობლემად რჩება.

— ვფიქრობთ, რომ საყოველთაო დასაქმების რეალური კონცეფციის ამოქმედება დღესდღეობით ქართული სახელმწიფოს ძირითადი პრიორიტეტი უნდა იყოს და ამ საქმეში გადამწყვეტი როლი ხელისუფლებასა და საზოგადოების ერთსულოვნებას უნდა ენიჭებოდეს. სწორედ ამიტომ ვიმედოვნებთ, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს თქვენი ორგანიზაციის თანამონაწილეობას ამ საზოგადოებრივ-სახალხო წამოწყებაში. გთხოვთ, მობრძანდეთ და დაესწროთ ჭადრაკის სასახლეში ჩვენს შეკრებას! — ნათქვამია ბიძინა ივანიშვილისათვის გაგზავნილ წერილში, რომელიც კოალიცია „ერთსულოვნების“ წარმომადგენლებმა გაასაჯაროვეს.

## ზურაბ ჟვანიას მეგობრები მიმართვას ავრცელებენ

ექსპრემიერ ზურაბ ჟვანიას ახლო მეგობრებმა, პარტიულმა თანამებრძოლებმა და დაცვის ყოფილმა წევრებმა, გუშინ სპეციალური მიმართვა გაავრცელეს.

ისინი აცხადებენ, რომ ზურაბ ჟვანიას სახელის ირგვივ განვითარებული მოვლენები, არა მხოლოდ მისი ახლობლებისთვის, არამედ მთელი საზოგადოებისთვის შეურაცხმყოფელია.

„ჩვენ, ზურაბ ჟვანიას მეგობრები ქართულ საზოგადოებას, პრესას, საგამომძიებო ორგანოებს მივმართავთ — ის რაც ზურაბ ჟვანიას სახელის ირგვლივ ხდება, არა მარტო ჩვენთვის და მისი ოჯახის წევრებისათვის, არამედ მთელი საზოგადოებისათვის, სრულიად შეუწყნარებელი და შეურაცხმყოფელია.

ერთი ჯგუფი დეგრადირებული და ზნეობისგან სრულიად დაცლილი მარგინალებისა, ჩვენს საზოგადოებას განუწყვეტლივ წამლავს, ცილს წამებს და სიცრუეში ამყოფებს.

მოგმართავთ ჟურნალისტებს, პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლებს — ამ სიცრუისა და სიბინძურის საჯარო ტირაჟირებას ნუ ახდენენ, უზნეობის, ბოროტების დანერგვას და საზოგადოების გახრწნის მცდელობას ხელს ნუ უწყობთ“ , — აცხადენებ ზურაბ ჟვანიას მეგობრები.

ისინი იმედს გამოთქვამენ, რომ საქართველოს მთავარი პროკურატურა 2005 წლის 3 თებერვლის ღამეს მომხდარ მკვლელობას დროულად გამოიძიებს.

ექსპრემიერის ახლობლები მოითხოვენ, რომ ამ თემაზე სპეკულაციები, გარდაცვლილის ოჯახზე ზეწოლა და მიცვალებულების შეურაცხყოფა, ერთხელ და სამუდამოდ დასრულდეს.

გადაცემა „არჩევანში“ ცნობილი გახდა, რომ ტელეკომპანია „რუსთავის 2“-ს კონფიდენციალურმა წყარომ აშშ-ის გამოძიების ფედერალური ბიუროს იმ დასკვნის კიდევ ერთი ნაწილი მიაწოდა, რომელიც ზურაბ ჟვანიასა და რაულ უსუპოვის საქმეზე მომზადდა. გადაცემაში ზურაბ ჟვანიასა და უსუპოვის შესაძლო არატრადიციული სექსუალური ურთიერთობის სცენაზეც იყო საუბარი.

ნიუსპრესი

# მამუკა ტუსკაძე: კბილაშვილმა პასუხი უნდა აგოს!“

შორენა გონგლაძე

## ინტერვიუ უფლებადამცველ მამუკა ტუსკაძესთან



***— რას იტყვით თავდაცვის სამინისტროს გარშემო შექმნილ ვითარებაზე?***

— თავდაცვის სამინისტროსა და კონკრეტულად მინისტრს მოვუწოდებთ, არ აჰყვეს პროვოკაციას და ჩვეულ რიტმში გააგრძელოს დაგეგმილი საქმიანობა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ასამაღლებლად.

***— რას ფიქრობთ ზურაბ ჟვანიას საქმეზე, გხედავთ, რომ ეს თემა პოლიტიკური წრეებისთვის სპეკულირების საგნად იქცა.***

— დიახ, ნამდვილად პოლიტიკური სპეკულირების საგნადაა გამხდარი პრემიერ— მინისტრის ამოუცნობ ვითარებაში გარდაცვალება, რაც ძალზე სამწუხაროა და ეს თემა დღეს კიდევ უფრო აქტუალური გახდა სწორედ იმის გამო, რომ იწყება სამართლიანობის აღდგენის პროცესი, რაც, სავარაუდოდ, მნიშვნელოვან პოლიტიკურ ქულებს მოუტანს ხელისუფლებას და, ჩემი აზრით, ხელისუფლებამ ეს პროცესი, რომელიც სრულიად პოლიტიკურია, ჩემი, როგორც პოლიტოლოგის დაკვირვებითა და ანალიზით, შეიძლია განვაცხადო, რომ ნაადრევადაა დაწყებული, რაც პირდაპირ მანიშნებელია იმისა, რომ ამ წლის შემოდგომას არ გადასცდება ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები, მით უმეტეს, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ სახელისუფლებო პოლიტიკურ გუნდში უკვე აქტიურად დაიწყეს მუშაობა პარტიის რებრედინგზე.

***— რატომ მოხდა თავიდანვე ამ საქმის გარკვეული ნაწილის დახურვა, გრიფი დაედო საქმის გარკვეულ ნაწილს და, როგორც ცნობილი გახდა, ეს იყო ოჯახის მოთხოვნა?***

— სწორედ წინა ხელისუფლების ანუ ტოტალიტარული მმართველობის დაწერილ ინსტრუქციებშია, რეზონანსული თემები ისე დანაწილდეს, რომ წლების შემდეგაც იყოს გამოსადეგი ანუ დღეს ორიენტაციაზე საუბარი ისევ ნაციონალური მოძრაობის წისქვილს აამუშავებს. ამიტომაც უნდა ვიზრუნოთ, რომ ტოტალიტარული მმართველობა არასდროს დაბრუნდეს საქართველოში და არ მივცეთ მათ საშუალება, გააკონტროლონ ადამიანების არა მარტო ქმედებები, არამედ აზრებიც. სწორედ ასეთი კონტროლის გამო მოხდა ჟვანიების ოჯახის დათანხმება და არა მოთხოვნა გრიფით „საიდუმლოზე“.

***— როგორც იურისტს, რა კითხვები გიჩნდებათ გამოძიების მიმართ და ენდობით თუ არა ეფ-ბი-აი-ს დასკვნას?***

— არავითარ შემთხვევაში არაა სანდო გამოძიება, რადგან იგი თავიდანვე გაყალბებული საქმის საფუძვლებზე იქნა დადებული და, როცა საწყისი მასალები ყალბია, მაშინ რა უნდა ექნათ მათ?

***—კბილაშვილმა თუ უნდა აიღოს გარკვეული პასუხისმგებლობა? კითხვები, რომლებიც მის მიმართ გაჩნდა, სულაც არ არის ლოგიკას მოკლებული.***

— ბუნებრივია, ხალხი სამართლიანობის აღდგენას ითხოვს, მაგრამ აქ საქმე მდგომარეობს შემდეგში, რომ სამართლიანობის აღდგენა პოლიტიკური პროცესია და მის აღსასრულებლად სახელმწიფო პოლიტიკური ისტებლიშმენტი როცა გადაწყვეტს, მაშინ დაიწყება იგი, ამიტომაც კბილაშვილს არხეინად სძინავს და ნერვებს არ იტოკებს. აქ დანაშაული ისაა, რომ პროკურატურა არ უნდა იყოს პოლიტიკურ ამინდზე დამოკიდებული ორგანო და იგი სამართლიანობის დაცვას ნებისმიერი მმართველობის დროს უნდა ახორციელებდეს, თუმცა ჩვენ ხომ ჯერ განვითარებადი ქვეყანა ვართ ყველა მიმართულებით და მათ შორის ამ კუთხითაც გვაქვს კომპლექსები. აბა, თუ ასე არ არის, აფრასიძეების საქმეს, სადაც პირდაპირ ომი გამოუცხადა ქვეყნის მაშინდელმა მთავარსარდალმა, ან ვაზაგაშვილისა და ხუბულურის წინააღმდეგ განხორციელებულ სპეცოპერაციას რაღა პოლიტიკური მდგომარეობა სჭირდებოდა. ეს საქმე წინა მთავრობასაც კი უნდა გამოეძიებინა, მაგრამ, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ და კარგა ხანს პროკურატურა პოლიტიკურ პროცესებს იქვე, გვერდით მიჰყვება და არ ვიცი, ერთმხრივად შეიძლება კარგიც იყოს, სანამ ქვეყანა რეალურად განვითარდებოდეს.



# უკრაინა დიდი ომის მოლოდინში

## მინსკის ხელშეკრულებები, შესაძლოა, ჩაიშალოს





მინსკის სამიტი დასრულდა. მიღწეულ იქნა შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. ის 15 თებერვლიდან ამოქმედდება, მაგრამ, რამდენად მყარია „მშვიდობა,“ რომლის დამყარებაც მოხერხდა?

### დებალცევომ ყველაფერი გადაწყვიტა

მინსკის მოლაპარაკებები მძიმედ მიმდინარეობდა. უკრაინულმა ტელეარხებმა ამ მოლაპარაკებების რიგი პიკანტური დეტალები გამოამზეურეს.

ვლადიმერ პუტინი კატეგორიულად მოითხოვდა, როგორც უკრაინას, ისე დასავლეთს „დონეცკ-ლუგანსკის ავტონომიის“ გარანტია მიეცათ. პოროშენკომ ამაზე მიუგო:

— კი, მაგრამ თავად დონბასელებს ავტონომია სურთ?

გაოცებული პუტინი გაჩუმდა. პოროშენკომ ჯიბიდან ბლოკნოტი ამოიღო, გადაშალა:

— 16 იანვრისთვის, როცა ესკალაცია დაიწყო, ე.წ. დონბასელ მოლაშქრეთა რაოდენობა 32.000-ს აღწევდა. აქედან დონბასის მცხოვრებლები მხოლოდ 6.000-ს შეადგენდნენ.

— ეს, ალბათ, უკრაინელ ნაციონალისტთა ორგანიზაციის მონაცემებია! — მკვახედ ჰკითხა პუტინმა.

— ამას ე.წ. დონეცკის რესპუბლიკის თავდაცვის ყოფილი მინისტრი გირკინი ამბობს, — გაუღიმა პოროშენკომ.

პუტინი გაჩუმდა. მერკელი და ოლანდი რუსეთის პრეზიდენტს დაძაბულნი მისჩერებოდნენ. პუტინმა ატმოსფერო ხუმრობით განმუხტა. საუბარი გაგრძელდა, თუმცა მალე ვითარება კვლავ დაიძაბა. რუსეთის პრეზიდენტმა მოითხოვა, რათა დონბასში ცისფერჩაფხუტიანები ჩაეყენებინათ:

— სხვაგვარად მშვიდობის შენარჩუნება ვერ მოხერხდება! — ასეთი იყო პუტინის არგუმენტი.

მერკელის შეკითხვას, რომელი ქვეყანა გაგზავნის დონბასში თავის ჯარისკაცებსო, პუტინმა უპასუხა:

— რუსეთი მზადაა, თავის ცისფერჩაფხუტიანები გაგზავნოს!

პოროშენკომ პასუხად ხმამაღლა გაიცინა. განაწყენებული პუტინი წამოხტა და ოთახიდან გავარდა. საფრანგეთის პრეზიდენტი დაედევნა. გარკვეული დროის შემდეგ პუტინის შემობრუნება მოხერხდა და მოლაპარაკებებიც განახლდა, თუმცა მალე ახალი ექსცესი მოხდა. რუსეთის პრეზიდენტმა დონბასის მთელი ტერიტორიიდან უკრაინული არმიის გაყვანა მოითხოვა.

— მათ მთელი ქალაქები მიწასთან გაასწორეს, მოსახლეობა გადაიმტერეს!

ახლა ოთახიდან უკვე პოროშენკო გავარდა. ევროპელებმა მისი დაბრუნებაც მოახერხეს.

მსგავსი სცენები კიდევ რამდენიმეჯერ გამეორდა, ხან პუტინი აფეთქდებოდა, ხანაც — უკრაინის პრეზიდენტი. ცხარე დისკუსიის საგანი უკანონო პატიმრობაში მყოფი უკრაინელი მფრინავის, ნადეჟდა სავჩენკოს, პერსონაც გახდა. პუტინი ცხარედ ამტკიცებდა, სავჩენკოს ბედი სასამართლომ უნდა გადაწყვიტოსო. პოროშენკოს არგუმენტმა, სავჩენკოს რკინის ალიბი აქვს და მისი პატიმრობაში დატოვება უკანონობააო, რუსეთის პრეზიდენტი აღაშფოთა:

— მაშ, თქვენი აზრით, რუსეთში ხალხს ციხეში უკანონოდ სვამენ?

— სავჩენკო უკანონო პატიმარია! — გაიმეორა პოროშენკომ.

მოლაპარაკებებსაც ჩაშლის საფრთხე დაემუქრა. მერკელმა და ოლანდმა ამისი თავიდან აცილება მოახერხეს. ბოლოს პუტინი დათანხმდა, რომ სავჩენკოს საკითხს უშუალოდ შეისწავლიდა და ობიექტურ გადაწყვეტილებასაც მიიღებდა. პოროშენკო ამან არ დააკმაყოფილა. ბოლოს პუტინი დათანხმდა, რომ სავჩენკო სამხედრო ტყვეების სიაში შეეყვანათ.

— შეწყდება ცეცხლი, დაიწყება ტყვეთა გათავისუფლება, სავჩენკოც შინ დაბრუნდება, — პუტინის ამ სიტყვებმა ყველა დააკმაყოფილა.

ვითარება თითქოს განიმუხტა, თუმცა მალე მდგომარეობა ისევ დაიძაბა. პუტინმა დონბასში რუსი ცისფერჩაფხუტიანების ჩაყენება კვლავ მოითხოვა, რადგან, მისი აზრით, ამის გარეშე მშვიდობა ვერ დამყარდება. პოროშენკომ ხმამაღლა გაიცინა:

— ვლადიმერ ვლადიმიროვიჩ, რუსი მშვიდობისმაძიებლების ჩაყენება კაპიტულაციას ნიშნავს, უკრაინა კი, მადლობა ღმერთს, ამისგან შორსაა!

პუტინმა პასუხად დებალცევოს „კოტიოლზე“ ჩამოაგდო საუბარი. პოროშენკომ ჩუმად, მაგრამ გარკვევით მიუგო, არავითარი „კოტიოლი“ არ არსებობსო. რუსეთის პრეზიდენტი ჯიუტად ამტკიცებდა, დებალცევოსთან უკრაინელი სამხედროები „კოტიოლში“ მოაქციესო. პოროშენკო არ უთმობდა, ეკამათებოდა. პუტინმაც თავის ამალიდან ახალგაზრდა სიმპათიური მამაკაცი იხმო.

— ეს ჩვენი სამხედრო ექსპერტია! ყველაფერი იცის, ყველაფრის კურსშია. გვითხარით, დებალცევოსთან „კოტიოლი“ არის თუ არა?

— ვლადიმერ ვლადიმიროვიჩ, დებალცევოსთან „კოტიოლი“ არ არის, — ახალგაზრდამ პუტინს დამნაშავესავით შეხედა, — უკრაინელებმა ეს-ესაა, ლოგინოვო დაიკავეს. მოლაშქრეები ბრძოლით უკან იხევენ.

ამან ყველაფერი გადაწყვიტა. პუტინი არც დონბასის ავტონომიას, არც რეგიონში რუსი ცისფერჩაფხუტიანების ჩაყენებას აღარ მოითხოვდა. შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ დაიდო.

### დონბასში ბრძოლები გრძელდება

ამასობაში დონბასში ბრძოლები არ წყდება. ყველაზე დაძაბული მდგომარეობა კვლავ დებალცევოსთანაა. ჯერჯერობით რუსების კონტროლქვეშაა ლოგინოვოს მახლობლად მდებარე სიმაღლეები. 12 თებერვალს სეპარატისტებმა და რუსმა ჯარისკაცებმა კვლავ ცადეს, ბახმუტკის ტრასაზე კონტროლი დაებრუნებინათ და დებალცევოსკენ გაჭრილიყვნენ. მცდელობა წარუმატებლად დამთავრდა. უკრაინელებმა შეტევა მოიგერიეს. კიდევ რამდენიმე დასახლებული პუნქტი გათავისუფლდა რუსებისაგან. 13 თებერვალს რუსებმა ბრძოლაში რეზერვები ჩააბეს და შეტევაზე გადასვლა სცადეს, მაგრამ შეტევა მოგერიებულ იქნა. თუმცა ის ფაქტი, რომ ლოგინოვოს გარშემო სიმაღლეები კვლავაც რუსების ხელში რჩება, ვითარებას ართულებს. ოკუპანტები იქიდან წასვლას არ აპირებენ და უკრაინელებს ცეცხლს უხსნიან.

— სამშვიდობო ხელშეკრულება დებალცევოს ბედს ვერ გადაჭრის. აუცილებელია რუსების განდევნა ყველა დაკავებული სიმაღლიდან, — წერს უკრაინელი ექსპერტი ბუტუსოვი.

სისხლიანი ბრძოლები მარიუპოლის მიმართულებითაც არ წყდებოდა. სოფელ შიროკოესთან რუსებმა კონტრშეტევაზე გადასვლა სცადეს. ბატალიონმა „აზოვმა“ და ეროვნული გვარდიის ნაწილებმა შეტევა მოიგერიეს. ამ დროს დაიღუპა 20-მდე სეპარატისტი და რუსი ჯარისკაცი. საარტილერიო დუელები არც დონეცკსა და ლუგანსკთან წყდებოდა.

თანახმად მინსკის შეთანხმებისა, ცეცხლი 15 თებერვალს უნდა შეწყდეს. ჯერჯერობით კი ბრძოლები გრძელდება.

### მინსკის ხელშეკრულებები, შესაძლოა, ჩაიშალოს

ლოგინოვოს დაკარგვის შემდეგ დებალცევოსთან რუსების მდგომარეობა გაუარესდა. მათაც აქ დამატებითი ძალები გადმოისროლეს. ეს რუსეთის რეგულარული არმიის ნაწილებია.

— სეპარატისტული ფორმირებები უკვე იმდენად არაქათგამოცლილნი არიან, რომ ომის გაგონებაც კი არ სურთ! ისინი ფრონტს ტოვებენ. ახლა დებალცევოსთან ძირითადად რუსეთის რეგულარული არმიის ნაწილები გვიპირისპირდებიან, — იტყობინება სააგენტო „უნიანი“.

„ლუგანსკის რესპუბლიკის“ ხელმძღვანელობამ გაავრცელა ინფორმაცია, სადაც ნათქვამია, რომ ლუგანსკის რესპუბლიკის ძალები დებალცევოს პლაცდარმიდან მოხსნეს და დასასვენებლად ზურგში გადაიყვანეს. მათი ადგილი რუსეთიდან შემოსულმა რეგულარული არმიის ნაწილებმა დაიკავეს. 13 თებერვალს მათ დებალცევოსკენ გაჭრა კვლავ ცადეს.

— მტერმა გამოიყენა ტანკები, „გრადები“, „სმერჩები“, — იტყობინება ტსნ.

უკრაინელებმა შეტევა მოიგერიეს, თუმცა მალე რუსეთიდან კიდევ რამდენიმე ბატალიონი შემოვიდა. უკრაინის პარლამენტის დეპუტატის, დმიტრო ტიმჩუკის, ცნობით, დებალცევოსთან რუსი ჯარისკაცების რაოდენობა სულ უფრო იზრდება. დამატებითი რუსული ნაწილების გადმოსროლა იმას ნიშნავს, რომ ოკუპანტი იქიდან წასვლას არ აპირებს. შესაბამისად, უკრაინელებს ერთადერთი საშუალება რჩებათ: მათი ძალით განდევნა. ამან კი, შესაძლოა, მინსკის შეთანხმებებს საფრთხე შეუქმნას.

— თუკი 15 თებერვლამდე ვითარება არ განიმუხტა, მინსკის შეთანხმებები ჩაიშლება, — იტყობინება მე-5 არხი.

როგორც ჩანს, რუსეთში არიან ძალები, რომელთაც შეთანხმებების ჩაშლა სურთ. 13 თებერვალს დონეცკში გაანადგურეს დიდი ჯგუფი, რომელიც აფეთქებდა სახლებს, ცეცხლს უხსნიდა მშვიდობიან მოქალაქეებს. ჯგუფის ყველა წევრი რუსეთის არმიის ოფიცერი აღმოჩნდა, თუმცა „დონეცკის რესპუბლიკის“ ხელმძღვანელობამ ისინი უკრაინელ დივერსანტებად მონათლა. მსგავსი ფაქტები ხშირია ლუგანსკში, გორლოვკასა თუ სხვაგან.

ამრიგად, სამშვიდობო შეთანხმებებს სერიოზული საფრთხე შეექმნა. კიევშიც ფართომასშტაბიანი ომისთვის ემზადებიან. მოხერხდება თუ არა ვითარების განმუხტვა?

## „დევიდ ქემერონი: რუსეთის წინააღმდეგ სანქციები ძალაში უნდა დარჩეს“



— რუსეთის წინააღმდეგ სანქციები ჯერჯერობით ძალაში უნდა დარჩეს, — განაცხადა დიდი ბრიტანეთის პრემიერმა დევიდ ქემერონმა.

პრემიერმა ხაზი გაუსვა, რომ რუსეთის როლი დონბასის ომის გაჩაღებაში უმთავრესია. „რომ არა პუტინის პოლიტიკა, ეს ომი საერთოდ არ იქნებოდა,“ — თქვა ქემერონმა და გამოთქვა იმედი, რომ ვლადიმერ პუტინი, ადრე თუ გვიან, თავის პოლიტიკას შეცვლის.

— დღეს ასე არ ხდება. სანქციების გაუქმება არ შეიძლება, — ამბობს ქემერონი.

## აშშ მინსკის შეთანხმებებს მიესალმა

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა მინსკის შეთანხმებები დადებითად შეაფასა. „ის ფაქტი, რომ მიღწეულია შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, უდავოდ მისასალმებელია“, — ნათქვამია თეთრი სახლის განცხადებაში. ამავე დროს, ყურადღება გამახვილებულია ისეთ მოვლენებზე, როგორიცაა სეპარატისტების მკვეთრი გააქტიურება, რაც მინსკის მოვლენებს საეჭვოდ დაემთხვა.

— ის, რაც მოხდა დებალცევოსთან თუ სხვაგან, არ შეიძლება, შეშფოთებას არ იწვევდეს, — ნათქვამია განცხადებაში.

ამავე დროს, აშშ-ის ადმინისტრაცია იმედოვნებს, რომ მომავალში ყველა წინააღმდეგობის დაძლევა მოხერხდება და ყველაფერი პოლიტიკური მეთოდებით გადაწყდება.

## პეტერბურგში უკრაინელი ნაციონალისტების რუსი მხარდამჭერი დააკავეს

პეტერბურგში უკრაინელი ნაციონალისტების მხარდამჭერი დააკავეს. რადიო „თავისუფლების“ ცნობით, ის ეროვნებით რუსია და პეტერბურგის მცხოვრებია. ჩხრეკისას ფსბ-ს აგენტებმა მას სააგიტაციო ფურცლები აღმოუჩინეს, რომლებიც შეიცავენ უკრაინელი ხალხის დახმარებისაკენ მოწოდებებს და გმობენ პუტინის პოლიტიკას უკრაინაში. დღევანდელ რუსეთში ეს საკმარისი მიზეზია, რათა ადამიანი ციხეში მოხვდეს.




ამ პიროვნების გვარი ჯერჯერობით არ სახელდება.

ფსბ ხსენებულ მოქალაქეს იმაშიც ადანაშაულებს, რომ მას სურდა, რუსეთის ტერიტორიაზე მემარჯვენე სექტორის ფილიალი შეექმნა და ფართო მოღვაწეობა გაეშალა.

## ეგვიპტე: დაკავებული ჟურნალისტები დროებით გაათავისუფლეს

კაიროს სასამართლომ დროებით გაათავისუფლა ალ-ჯაზირას დაკავებული ჟურნალისტები ფახტი და მუჰამედი. მათ ბრალად ისლამური ორგანიზაციის, „ძმები მუსლიმანების“, მხარდაჭერა ედებათ.

ჟურნალისტებს ხელისუფლება დეზინფორმაციის შეგნებულად გავრცელებაში ადანაშაულებს.

ფახტისა და მუჰამედის საბოლოო ბედს კი სასამართლო პროცესი გადაწყვეტს. ჟურნალისტების მიმართ ბრალდება არ მოუხსნიათ.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და არაოპერაციულ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საიმედოა და მყარია.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

# ევროპა უიქ ენდს ინგლისის გარეშე ჩაატარებს



## ესპანეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 14.02 სევილია-კორდობა | 1.35 | 4.8 | 9.0 |
| 14.02 რეალი-დეპორტივო | 1.08 | 11.0 | 23.0 |
| 14.02 გრანადა-ბილბაო | 2.9 | 3.0 | 2.6 |
| 14.02 მალაგა-ესპანიოლი | 2.1 | 3.2 | 3.75 |
| 15.02 ვალენსია-ხეტაფე | 1.44 | 4.33 | 7.5 |
| 15.02 ბარსელონა-ლევანტე | 1.02 | 17.0 | 41.0 |
| 15.02 რაიო-ვილიარეალი | 3.4 | 3.2 | 2.2 |
| 15.02 სელტა-ატლეტიკო | 3.8 | 3.1 | 2.1 |
| 16.02 ეიბარი-ელჩე | 2.15 | 3.0 | 3.8 |

### სევილია-კორდობა

სევილია: ***ტრავმ***-შტეფან მბია, ბეტო, იაგო ასპასი, კოკე ანდუარი, კევინ გამეირო, ბენუა ტრემულინასი; ***დისკვ***-დიეგო ფიგუერასი

კორდობა: ***ტრავმ***-ფიდელი, ლუის დელგადო; ***დისკვ***-ფაუსტო როსი

### რეალი-დეპორტივო

რეალი: ***ტრავმ***-ხამეს როდრიგესი, სამი ხედირა, სერხიო რამოსი, პეპე, ლუკა მოდრიჩი

დეპორტივო: ***ტრავმ***-ლუის ფარინა, ელდერ პოშტიგა; ***დისკვ***-პაბლო ინსუა

### გრანადა-ბილბაო

გრანადა: ***ტრავმ***-სულეიმან მარე, რუბენ როჩინა, ჯეისონ მურილიო

ბილბაო: ***ტრავმ***-ანდერ იტურასპე, გილერმო ფერნანდესი; ***დისკვ***-ხაბიერ ეჩეიტა

### მალაგა-ესპანიოლი

მალაგა: ***ტრავმ***-არავინ

ესპანიოლი: ***ტრავმ***-არავინ

### ვალენსია-ხეტაფე

ვალენსია: ***ტრავმ***-პაკო ალკასერი; ***დისკვ***-ანდრე გომესი

ხეტაფე: ***ტრავმ***-ვისენტე გუაიტა, ანხელ ლაფიტა, ბაბა დიავარა

### ბარსელონა-ლევანტე

ბარსელონა: ***ტრავმ***-დუგლას პერეირა, ტომას ვერმალენი; ***დისკვ***-დანი ალვეში

ლევანტე: ***ტრავმ***-ვიქტორ პერესი; ***დისკვ***-ვიქტორ კამარასა

### რაიო-ვილიარეალი

რაიო: ***ტრავმ***-არავინ; ***დისკვ***-რაულ ბაენა

ვილიარეალი: ***ტრავმ***-ადრიან მარინი

### სელტა-ატლეტიკო

სელტა: ***ტრავმ***-უგო მალო

ატლეტიკო: ***ტრავმ***-კოკე; ***დისკვ***-არდა თურანი, რაულ გარსია

### ეიბარი-ელჩე

ეიბარი: ***ტრავმ***-მანუ დელ მორალი

ელჩე: ***ტრავმ***-პედრო მოსკერა

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 22 | 18 | 0 | 4 | 70-22 | 54 |
| ბარსელონა | 22 | 17 | 2 | 3 | 62-13 | 53 |
| ატლეტიკო | 22 | 16 | 2 | 4 | 47-20 | 50 |
| ვალენსია | 22 | 13 | 5 | 4 | 40-20 | 44 |
| სევილია | 22 | 13 | 3 | 6 | 36-26 | 42 |
| ვილიარეალი | 22 | 12 | 5 | 5 | 37-20 | 41 |
| მალაგა | 22 | 10 | 5 | 7 | 25-25 | 35 |
| ეიბარი | 22 | 7 | 6 | 9 | 25-31 | 27 |
| ესპანიოლი | 22 | 7 | 5 | 10 | 28-34 | 26 |
| სელტა | 22 | 6 | 7 | 9 | 21-24 | 25 |
| დეპორტივო | 22 | 6 | 6 | 10 | 20-34 | 24 |
| სოსიედადი | 22 | 5 | 8 | 9 | 22-29 | 23 |
| ბილბაო | 22 | 6 | 5 | 11 | 20-31 | 23 |
| ხეტაფე | 22 | 6 | 5 | 11 | 18-30 | 23 |
| რაიო | 22 | 7 | 2 | 13 | 22-40 | 23 |
| ალმერია | 22 | 6 | 4 | 12 | 20-34 | 22 |
| ელჩე | 22 | 5 | 5 | 12 | 20-42 | 20 |
| ლევანტე | 22 | 4 | 7 | 11 | 17-38 | 19 |
| კორდობა | 22 | 3 | 9 | 10 | 17-33 | 18 |
| გრანადა | 22 | 3 | 9 | 10 | 14-35 | 18 |

## გერმანია

| | | | |
|---|---|---|---|
| 14.02 გლადბახი-კიოლნი | 1.67 | 3.6 | 5.5 |
| 14.02 ბაიერნი-ჰამბურგი | 1.08 | 11.0 | 23.0 |
| 14.02 ჰოფენჰაიმი-შტუტგარტი | 1.91 | 3.75 | 3.75 |
| 14.02 ვერდერი-აუგსბურგი | 2.6 | 3.4 | 2.62 |
| 14.02 ლევერკუზენი-ვოლფსბურგი | 2.2 | 3.5 | 3.1 |
| 14.02 აინტრახტი-შალკე | 2.3 | 3.6 | 2.8 |
| 15.02 ჰერტა-ფრაიბურგი | 2.15 | 3.3 | 3.4 |
| 15.02 ჰანოვერი-პადერბორნი | 1.8 | 3.75 | 4.2 |

### გლადბახი-კიოლნი

გლადბახი: ***ტრავმ***-მარტინ შტრანცლი, ანდრე ჰანი

კიოლნი: ***ტრავმ***-არავინ

### ბაიერნი-ჰამბურგი

ბაიერნი: ***ტრავმ***-რაფინია, ფრანკ რიბერი, ფილიპ ლამი, ხავი მარტინესი, ტიაგო ალკანტარა

ჰამბურგი: ***ტრავმ***-ნიკოლა მიულერი, პიერ-მიშელ ლასოგა, დენის დიკმეიერი, კლებერი, ლუის ჰოლბტი, ვალონ ბეჰრამი

### ჰოფენჰაიმი-შტუტგარტი

ჰოფენჰაიმი: ***ტრავმ***-სვენ შიპლოკო, ნიკლას სულე

შტუტგარტი: ***ტრავმ***-დანიელ დიდავი, კარლოს გრუეზო, ანტონიო რუდიგერი

### ვერდერი-აუგსბურგი

ვერდერი: ***ტრავმ***-სებასტიან პროდი, მარნონ ბუში

აუგსბურგი: ***ტრავმ***-ალექსანდერ ესვეინი, ბაბა რაჰმანი, საშა მოლდერსი, ჰონგ იონგ-ჰო, ტიმ მატავჟი, მარვინ ჰიტცი

### ლევერკუზენი-ვოლფსბურგი

ლევერკუზენი: ***ტრავმ***-ტინ იედელი, რობი კრუსი

ვოლფსბურგი: ***ტრავმ***-ტიმ კლოზე

### აინტრახტი-შალკე

აინტრახტი: ***ტრავმ***-კონსტან ჯაკპა, ნელსონ ვალდესი

შალკე: ***ტრავმ***-ფაბიან გიფერი, რალფ ფარმანი, ჯეფერსონ ფარფანი, სეად კოლასინაჩი

### ჰერტა-ფრაიბურგი

ჰერტა: ***ტრავმ***-ჯონ ჰეიტინგა, ანის ბენ-ჰატირა, სალომონ კალუ

ფრაიბურგი: ***ტრავმ***-მარკ-ოლივერ კემპი, ადმირ მეჰმედი, სტეფან მიტროვიჩი

### ჰანოვერი-პადერბორნი

ჰანოვერი: ***ტრავმ***-ლეონ ანდრეასენი

პადერბორნი: ***ტრავმ***-ტომას ბერტელსი

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 20 | 15 | 4 | 1 | 45-9 | 49 |
| ვოლფსბურგი | 20 | 12 | 5 | 3 | 41-19 | 41 |
| შალკე | 20 | 10 | 4 | 6 | 31-22 | 34 |
| აუგსბურგი | 20 | 11 | 1 | 8 | 28-24 | 34 |
| გლადბახი | 20 | 9 | 6 | 5 | 27-17 | 33 |
| ლევერკუზენი | 20 | 8 | 8 | 4 | 30-22 | 32 |
| ჰოფენჰაიმი | 20 | 7 | 5 | 8 | 31-33 | 26 |
| ვერდერი | 20 | 7 | 5 | 8 | 32-41 | 26 |
| აინტრახტი | 20 | 6 | 7 | 7 | 38-41 | 25 |
| ჰანოვერი | 20 | 7 | 4 | 9 | 23-30 | 25 |
| კიოლნი | 20 | 6 | 6 | 8 | 19-23 | 24 |
| ჰამბურგი | 20 | 6 | 5 | 9 | 14-22 | 23 |
| მაინცი | 20 | 4 | 10 | 6 | 25-26 | 22 |
| ჰერტა | 20 | 6 | 3 | 11 | 26-38 | 21 |
| პადერბორნი | 20 | 4 | 8 | 8 | 21-34 | 20 |
| დორტმუნდი | 20 | 5 | 4 | 11 | 21-27 | 19 |
| ფრაიბურგი | 20 | 3 | 9 | 8 | 21-30 | 18 |
| შტუტგარტი | 20 | 4 | 6 | 10 | 20-35 | 18 |

## იტალია

| | | | |
|---|---|---|---|
| 14.02 სასუოლო-ფიორენტინა | 3.2 | 3.3 | 2.25 |
| 14.02 პალერმო-ნაპოლი | 3.6 | 3.4 | 2.05 |
| 15.02 მილანი-ემპოლი | 1.75 | 3.5 | 5.0 |
| 15.02 უდინეზე-ლაციო | 3.3 | 3.2 | 2.25 |
| 15.02 ჯენოა-ვერონა | 1.91 | 3.5 | 4.0 |
| 15.02 ატალანტა-ინტერი | 3.25 | 3.25 | 2.25 |
| 15.02 რომა-პარმა | 1.3 | 5.0 | 11.0 |
| 15.02 ტორინო-კალიარი | 1.75 | 3.5 | 5.0 |
| 15.02 კიევო-სამპდორია | 2.87 | 3.2 | 2.5 |
| 15.02 ჩეზენა-იუვენტუსი | 13.0 | 5.5 | 1.25 |

### სასუოლო-ფიორენტინა

სასუოლო: ***ტრავმ***-სიმ ვრსლაიკო, ემანუელ ტერანოვა; ***დისკვ***-საფირ ტაიდერი

ფიორენტინა: ***ტრავმ***-ფედერიკო ბერნანდეში

### პალერმო-ნაპოლი

პალერმო: ***ტრავმ***-ენცო მარესკა, რობერტო ვილეტო; ***დისკვ***-ჯანკარლო გონსალესი

ნაპოლი: ***ტრავმ***-ლორენცო ინსინიე, მიჩუ, ხუან ზუნიგა; ***დისკვ***-დრის მერტენსი

### მილანი-ემპოლი

მილანი: ***ტრავმ***-რიკარდო მონტოლივო, იგნასიო აბატე, შტეფან ელ შაარავი, კრისტიან ზაპატა, მატია დი სკილიო; ***დისკვ***-ფილიპ მექსე

ემპოლი: ***ტრავმ***-რიკარდო საპორანა, ტიბერიო გუარენტე

### უდინეზე-ლაციო

უდინეზე: ***ტრავმ***-ალექსანდერ გეიხო; ***დისკვ***-ჯოვანი პასკუალე, პანაგიოტის კონე

ლაციო: ***ტრავმ***-ფედერიკო მარკეტი, ფილიპ ჯორჯევიჩი, სენად ლულიჩი, მაიკლ კიანი, სანტიაგო ჯენტილეტი

### ჯენოა-ვერონა

ჯენოა: ***ტრავმ***-ტინო კოსტა, ჯოვანი მარკეზე

ვერონა: ***ტრავმ***-ჯაკოპო სალა, გილერმო როდრიგესი, მუნირ ობადი

### ატალანტა-ინტერი

ატალანტა: ***ტრავმ***-ბაქარი დრამე, ნიკოლო ჩებურინი, კრისტიან რაიმონდი, მარსელო ესტიგარიბია

ინტერი: ***ტრავმ***-იუტო ნაგატომო, დანილო დამბროზიო, მარკო ანდრეოლი, პაბლო დანიელ ოსვალდო, ჯონათან მორეირა

### რომა-პარმა

რომა: ***ტრავმ***-ხუან იტურბე, კევინ სტროოტმანი, ლეანდრო კასტანი, ფედერიკო ბალძარეტი; ***დისკვ***-ხოსე ჰოლებასი

პარმა: ***ტრავმ***-მასიმო გობი, კრისტობალ ხორკერა, მასიმო კოდა, პედრო მენდეში

### ტორინო-კალიარი

ტორინო: ***ტრავმ***-არავინ

კალიარი: ***ტრავმ***-არავინ

### კიევო-სამპდორია

კიევო: ***ტრავმ***-არავინ

სამპდორია: ***ტრავმ***-ეზეკიელ მუნიოსი, ფაბრიციო კაჩიატორე; ***დისკვ***-სტეფანო ოკაკა

### ჩეზენა-იუვენტუსი

ჩეზენა: ***ტრავმ***-რიკარდო გაზოლა, დავიდე სუჩი, ლუკა ვალზანია, ანდრეა ტაბანელი, გვიდო მარილუნგო

იუვენტუსი: ***ტრავმ***-რომულო, კვადვო ასამოა; ***დისკვ***-კარლოს ტევესი

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 22 | 16 | 5 | 1 | 47-10 | 53 |
| რომა | 22 | 13 | 7 | 2 | 36-17 | 46 |
| ნაპოლი | 22 | 12 | 6 | 4 | 41-27 | 42 |
| ფიორენტინა | 22 | 9 | 8 | 5 | 32-22 | 35 |
| სამპდორია | 22 | 8 | 11 | 3 | 28-24 | 35 |
| ლაციო | 22 | 10 | 4 | 8 | 37-26 | 34 |
| ჯენოა | 22 | 8 | 8 | 6 | 30-26 | 32 |
| ტორინო | 22 | 8 | 7 | 7 | 25-23 | 31 |
| პალერმო | 22 | 7 | 9 | 6 | 34-36 | 30 |
| ინტერი | 22 | 7 | 8 | 7 | 33-29 | 29 |
| მილანი | 22 | 7 | 8 | 7 | 32-29 | 29 |
| სასუოლო | 22 | 6 | 11 | 5 | 28-30 | 29 |
| უდინეზე | 22 | 7 | 7 | 8 | 26-30 | 28 |
| ვერონა | 22 | 6 | 6 | 10 | 24-37 | 24 |
| ემპოლი | 22 | 4 | 11 | 7 | 21-26 | 23 |
| ატალანტა | 22 | 5 | 8 | 9 | 19-29 | 23 |
| კიევო | 22 | 5 | 6 | 11 | 16-26 | 21 |
| კალიარი | 22 | 4 | 7 | 11 | 29-42 | 19 |
| ჩეზენა | 22 | 3 | 6 | 13 | 21-43 | 15 |
| პარმა | 22 | 3 | 1 | 18 | 20-47 | 9 |

## საფრანგეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 14.02 პსჟ-კაენი | 1.28 | 5.0 | 12.0 |
| 14.02 მონაკო-მონპელიე | 1.67 | 3.4 | 6.0 |
| 14.02 ლილი-ნიცა | 1.91 | 3.0 | 5.0 |
| 14.02 ნანტი-ბასტია | 1.91 | 3.2 | 4.5 |
| 14.02 ლანსი-ევიანი | 1.95 | 3.25 | 4.2 |
| 14.02 ტულუზა-რენი | 2.15 | 3.2 | 3.6 |
| 15.02 ბორდო-სტ.ეტიენი | 2.62 | 3.1 | 2.8 |
| 15.02 მეცი-გენგამი | 2.7 | 3.0 | 2.8 |
| 15.02 ლორიანი-ლიონი | 3.3 | 3.2 | 2.5 |

### პსჟ-კაენი

პსჟ: ***ტრავმ***-ხავიერ პატორე, სერჟ აურო

კაენი: ***ტრავმ***-ირონდუ მუსავუკინგი

### მონაკო-მონპელიე

მონაკო: ***ტრავმ***-ანდრეა რაგი, ტიემო ბაკაიოკო

მონპელიე: ***ტრავმ***-იაონას მარტინი, სიაკა ტინე

### ლილი-ნიცა

ლილი: ***ტრავმ***-ფრანკ ბერია, მაიკლ ფრეი, ადამა სუმარო

ნიცა: ***ტრავმ***-მეტიუ ბოდმერი, დიდიე დიუგარი

### ნანტი-ბასტია

ნანტი: ***ტრავმ***-იოან აუდელი

ბასტია: ***ტრავმ***-კრისტოფერ მაბულუ. ელ-ჰაჯი ბა; ***დისკვ***-ბრანდაო

### ლანსი-ევიანი

ლანსი: ***ტრავმ***-ლიომ ლანდრე, დემე ნდიაე

ევიანი: ***ტრავმ***-ფაბიენ გამო, კლარკ ნსიკულუ, ადრიენ ტომასონი, მილოშ ნინკოვიჩი, ჯონათან მენსა, სედრიკ მონგო

### ტულუზა-რენი

ტულუზა: ***ტრავმ***-დუშან ვეშკოვაჩი, უროს სპახიჩი, უილიამ მეთიუ, აბელ აგილარი, ჟან-დანიელ აკპა-აკპრო

რენი: ***ტრავმ***-ფილიპ ჰოსინერი, ედსონ მექსე, კამილ გროსიცკი

### ბორდო-სტ.ეტიენი

ბორდო: ***ტრავმ***-იუნის კაბული, ჟულიენ ფობერი, ჩეიკ დიაბატე

სტ.ეტიენი: ***ტრავმ***-მუსტაფა სალი, კევინ მონე-პაკო, ნებჯამინ კორნე, ისმაელ დიომანდე, ფლორენტინ პოგბა, ფრანსუა კლერკი

### მეცი-გენგამი

მეცი: ***ტრავმ***-ტიბო ვიონი, ჯერემი ჩოპლინი, ფლორენტ მალუდა, ფედერიკო ანდრადა, ჩეიკ დაკური

გენგამი: ***ტრავმ***-ბისამა სახო, რონი შვარცი, ლადისლას დუმინა

### ლორიანი-ლიონი

ლორიანი: ***ტრავმ***-მეჰდი მოსტეფა, ჯორდან აუევი, ფაბიენ რობერი, იან ჟოფრე

ლიონი: ***ტრავმ***-მილან ბიშევაჩი, ალექსანდრე ლაკაზეტე, მუჰამედ იატარა, მეჰდი ზეფანე

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიონი | 24 | 15 | 5 | 4 | 48-18 | 50 |
| მარსელი | 24 | 15 | 3 | 6 | 44-23 | 48 |
| პსჟ | 24 | 13 | 9 | 2 | 41-20 | 48 |
| სტ.ეტიენი | 24 | 11 | 8 | 5 | 27-18 | 41 |
| მონაკო | 24 | 11 | 7 | 6 | 25-19 | 40 |
| ბორდო | 24 | 10 | 7 | 7 | 29-30 | 37 |
| მონპელიე | 24 | 10 | 6 | 8 | 31-24 | 36 |
| ნიცა | 24 | 9 | 6 | 9 | 28-29 | 33 |
| ნანტი | 24 | 8 | 9 | 7 | 20-23 | 33 |
| გენგამი | 24 | 10 | 2 | 12 | 28-36 | 32 |
| ლილი | 24 | 8 | 7 | 9 | 20-21 | 31 |
| რენი | 24 | 8 | 7 | 9 | 24-31 | 31 |
| რეიმსი | 24 | 8 | 5 | 11 | 28-40 | 29 |
| კაენი | 24 | 7 | 6 | 11 | 33-35 | 27 |
| ბასტია | 24 | 6 | 9 | 9 | 24-27 | 27 |
| ლორიანი | 24 | 8 | 3 | 13 | 28-33 | 27 |
| ტულუზა | 24 | 7 | 4 | 13 | 24-36 | 25 |
| ევიანი | 24 | 7 | 2 | 15 | 24-40 | 23 |
| ლანსი | 24 | 5 | 7 | 12 | 24-32 | 22 |
| მეცი | 24 | 5 | 6 | 13 | 19-34 | 21 |

# ნუკრი რევიშვილი: რუბინში“ თავს ჩემპიონად ვერ ვგრძნობდი“

დასაწყისი მე-12 გვერდზე

საქართველოს ნაკრების თამაშზე აისახება, რომელიც არც თუ ისე კარგად გამოდის. ვიმედოვნებ, ყველაფერი შეიცვლება. კახი კალაძე ახლა პოლიტიკაშია, ის ენერგეტიკის მინისტრია და სურს, რომ ფეხბურთს დაეხმაროს. ამ ეტაპზე რთულია, რადგან ქვეყანაში არასტაბილური მდგომარეობაა.

— ასე როგორ მოხდა? საქართველოს ხომ მდიდარი საფეხბურთო ისტორია აქვს.

— როგორც კი საბჭოთა კავშირი დაინგრა, ეს ტრადიციაც შეწყდა. ადრეულ ასაკში ფეხბურთი უფრო ნორმალურია, მაგრამ მერე სადღაც ქრება. საქართველოში ინფრასტრუქტურა საერთოდ არ არის: ბაზა და სარეაბილიტაციო ცენტრები. ამ მიმართულებით ბევრი რამაა შესაცვლელი. სადაც ფულია — ფეხბურთიც იქ არის. მაგალითად: აზერბაიჯანში, თურქეთში, სადაც ეს სახეობა ბოლო დროს უფრო განვითარდა.

— ქართული ტემპერამენტის გათვალისწინებით, ბავშვობაში ბევრჯერ გქონია კონფლიქტი ვარჯიშებზე?

— სიმართლე გითხრათ, კონფლიქტური ადამიანი არ ვარ. მწვრთნელებთან, თანაგუნდელებთან ნორმალური ურთიერთობა მაქვს. ყოველთვის ასე იყო. მსგავსი სიტუაცია ერთი-ორჯერ იყო, მაგრამ ახლა არ მახსენდება. სკოლის შემდეგ ბიჭები მოედანზე მივდიოდით და მთელი დღე ფეხბურთს ვთამაშობდით. მაშინ ინტერნეტი არ იყო. როდესაც მშობლიურ ქუთაისში ჩავდივარ, ეზოში ბავშვებს ვერ ვხედავ. ყველა სახლში, კომპიუტერთან ზის.

— გაიხსენე ის მომენტი, როდესაც გადაწყვიტე, რომ ფეხბურთელი გახდებოდი.

— 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატი იყო ამერიკაში. ბრაზილიის ნაკრების მეკარე კლაუდიუ ტაფარელის ვუყურებდი. თამაში ჩვენ დროსთან შედარებით გვიან იყო, მშობლები ყურებას მიკრძალავდნენ. მაგრამ მე ისე მინდოდა თამაშების ნახვა, ყველა შესაძლებლობას ვიყენებდი იმისთვის, რომ თვალი მედევნებინა მატჩებისთვის. 7 წლის ვიყავი, როდესაც ბაბუამ სკოლაში შემიყვანა. ოჯახში ჩემამდე ფეხბურთელი არავინ იყო. მამაჩემი ექიმია, ადრე კალათბურთს თამაშობდა.

***— ექიმობას შენც აპირებდი?***

— მშობლებისთვის მთავარი ჩემი კარგად სწავლა იყო. თუ ოთხიანს მივიღებდი, ვარჯიშზე არ მიშვებდნენ, ეს დაბალ ნიშნად ითვლებოდა. ასე გამოვიდა, რომ კარგად ვსწავლობდი. შემდეგ „ტორპედოს“ მთავარ გუნდში გადავედი და ფეხბურთი პირველ ადგილზე გადავიდა. პირველ მატჩში ძალიან ვინერვიულე. 16 წლის ვიყავი და მეორე მეკარედ ვითვლებოდი. საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებშიც მსურდა თამაში. „ტორპედოს“ მთავარმა მეკარემ 4 ყვითელი ბარათი მიიღო და „ზესტაფონის“ წინააღმდეგ თამაში მე მომიწია. ძალიან რთული იყო, კარგი მატჩი გამოვიდა, მაგრამ 1:2 წავაგეთ. გუნდი მამხნევებდა და მხარს მიჭერდა. ამ მხრივ საქართველოში გვერდში დგომა იციან.

***— როგორი შეგრძნებაა, როდესაც ფეხბურთელი 7 შეხვედრაში თამაშობს და ჩემპიონი ორჯერ ხდება?***

— მედლები და კარგი მოგონებები, მაგრამ მე ჩემპიონობას ვერ ვგრძნობდი. ვიგრძნობდი, თუ ვითამაშებდი. მართალია, ძალიან მოხარული ვიყავი, რომ იმ გუნდში ვირიცხებოდი, მაგრამ მაშინ იმ ასაკში ვიყავი, როდესაც მეკარემ უნდა ითამაშოს.

***— როგორი შეგრძნებაა, როდესაც მეორე მეკარე ხარ? იცი, რომ გუნდში არსებობს პირველი ნომერი და მას ვერ ჩაანაცვლებ?***

— აქ განსხვავებული სიტუაციაა. ზოგჯერ ხვდები, რომ მეკარე კარგად თამაშობს, მაგრამ შენს შანსს უნდა დაელოდო. უნდა ივარჯიშო და ხელები არ უნდა ჩამოუშვა, ყოველთვის მზად უნდა იყო. ტრავმა, გაფრთხილება — ბევრი რამ შეიძლება მოხდეს. მსგავსი შანსი „რუბინში“ არ მომცემია.

***— ახლა „ტოსნოში“ ხარ. რას იტყვი ამ გუნდზე?***

— კლუბს ამბიცია აქვს, პრემიერლიგაში ითამაშოს, მაგრამ სათანადო პირობები არ არის. როდესაც არ გაქვს სტადიონი, ბაზა... მართალია, ფინანსები არის, მაგრამ გამოცდილება, ტრადიციები არ აქვს გუნდს. ამ დროისთვის კლუბში ძალიან კარგი ფეხბურთელები გამოდიან, მაგრამ პრემიერლიგაში სათამაშოდ ბევრია გასაკეთებელი. ყველაფერი ნელ-ნელა უნდა გაკეთდეს. ბაზას და სტადიონს აშენებენ, მაგრამ ზუსტი ვადები არ ვიცი როდის აშენდება.

***— რუსული ფეხბურთის მომავალი კერძო კლუბებია?***

— ალბათ, კი. რადგან დაფინანსება კერძო კლუბებს უფრო მეტი აქვთ. როდესაც კლუბს მფლობელი ჰყავს, ის უფრო მეტს და ყველაფერს გულით აკეთებს.

## უფყნ[ფლტ,ტ,ბ

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით — სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას,პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწვევთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა.შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.

● ალკოჰოლიზმი ყველანაირი გართულების მოხსნით და ღვიძლის გაწმენდით, „ალკოჰოლიზმი“, „პახმელია“, „ზაპოი“. პრეპერატი შეგიძლიათ ფარულად საკვებში შეურიოთ,. თამბაქოს მწეველობის მიტოვება (ექსკლუზიურად მხოლოდ ჩვენთან) ნეტუროპათიითა და ფიტოთერაპიით. გარანტირებულად უსაფრთხო მცენარეული პრეპარატებით. ტელ: 599-65-43-66; 557-14-22-36 ნინო ექიმი.

● „ალკოჰოლიზმი“, „პახმელია“, „ზაპოი“, ღვიძლის გაწმენდა ალკოჰოლური ტოქსინისგან (შეგიძლიათ ფარულად საკვებში შერევა). თამბაქოს მწეველობის მიტოვება, ნერვული სტატესის მოწესრიგება — მხოლოდ მცენარეული, უსაფრთხო პრეპარატებით, მაღალი შედეგებით 555-45-13-45 599-02-11-46. სულხანი.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორ პუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულსარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.

# ალენ დელონი: მადლობა სიყვარულისთვის!“

ეკა ირემაშვილი

მსოფლიო კინოს ლეგენდა ალენ დელონი საქართველოში პაატა ბურჭულაძის იუბილესთან დაკავშირებით ჩამოვიდა. მსახიობი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, მცხეთა თბილისის მთავარეპისკოპოსს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია მეორესაც სტუმრობდა და თბილისის ღირსშესანიშნაობების დათვალიერებაც მოასწრო.

თბილისში ჩამოსულმა ალენ დელონმა „არტპალასში“ საგანგებო პრესკონფერენცია გამართა და აღნიშნა, რომ საქართველოში პირველად არის. მან საკმაოდ გულწრფელად ისაუბრა თავის პროფესიაზე, მის ცხოვრებაში არსებულ ლამაზ ქალებზე და ჟურნალისტების მიერ დასმულ შეკითხვებსაც უპასუხა.

**ალენ დელონი:**

„არაფერი ვიცოდი საქართველოსა და ქართველების შესახებ. 10 წლის წინ გორბაჩოვმა და ედუარდ შევარდნაძემ დამაჯილდოვეს და მაშინ გავიგე პირველად საქართველოზე. ახლა პირველად ვარ საქართველოში და ამაში მე ნუ დამადანაშაულებთ, დაადანაშაულეთ ის ხალხი, ვინც არ დამპატიჟა და არ მომიწვია თქვენთან. მე ჩამოვედი პაატასთან. არაფერი ვიცოდი ქართული კინემატოგრაფიის შესახებ, მაგრამ დავინტერესდი და უნდა გავეცნო ქართულ კინოს. ასევე, მცდარია ინფორმაცია იმის შესახებ, რომ წლების წინ, ცუდად ყოფნის დროს, ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებებს ვკითხულობდი. ისიც დაიწერა, თითქოს ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებების კითხვის დროს ვისწავლე ქართული ლაპარაკი. ისე, უკვე მაინტერესებს ამ მწერლის შემოქმედება“.



მსახიობმა იმ რეჟისორებზეც ისაუბრა, ვისთანაც შეხება ჰქონდა და მათგან გამოყო ლუკინო ვისკონტი. ალენ დელონის თქმით, ამ რეჟისორმა მასზე განსაკუთრებული გავლენა მოახდინა:

„რეჟისორებს რაც შეეხება, ჩემზე გავლენა რამდენიმე რეჟისორმა მოახდინა. მათ შორისაა ლუკინო ვისკონტი. ამ რეჟისორით გავიგე, რა არის ოპერა და ბედნიერი ვარ ამით. ისე, რეჟისორები არიან გენიოსები, საშუალოდ ნიჭიერები და არარაობები. მე ვარჩევ გენიოსებთან მუშაობას და ალბათ, ამიტომ არ ვმუშაობ სხვა დონის რეჟისორებთან. გამორჩეულ როლებზე საუბარი რთულია. მე ყველა როლი მიყვარს. სიცოცხლე თამაშია და ამითაა ცხოვრება საინტერესო. მსახიობობა ლამაზი პროფესიაა, მსახიობები პენსიაზე არასდროს გადიან და ისინი სულ მუშაობენ, სიკვდილამდეც კი. მიყვარს ჩემი პროფესია, რამაც ბედნიერება მომიტანა. რაც შეეხება ჩემ წარმატებულ კარიერას, ეს დაკავშირებულია საქმის სიყვარულთან. მსოფლიოში მილიონობით ადამიანია, რომლებიც წარმატებას ვერ აღწევენ. ეს კი იმის ბრალია, რომ მათ თავიანთი საქმე არ უყვართ.“

ალენ დელონს არ დაუმალავს, რომ მის გარეგნობასთან ერთად კარიერულ წარმატებაში ცნობილი ქალები დაეხმარნენ:

„სამხედრო სამსახური რომ დავასრულე, 23 წლის ვიყავი. ამბობდნენ, ცუდი გარეგნობა არ მქონდა. ჩემ გარშემო ბევრი ქალი ტრიალებდა. ბევრი მათგანი მსახიობი იყო, თუმცა ჩემზე 8-10 წლით უფროსები იყვნენ. ისინი დამეხმარნენ ჩემი კარიერის დასაწყისში. მე გამოვარჩევ რომი შნაიდერს და ვიტყვი, რომ ის ჩემი ცხოვრების პირველი და მთავარი ქალი იყო.“

ბოლო პერიოდში მსახიობი თეატრით არის გატაცებული. ის ბევრს მოგზაურობს, მონაწილეობს სხვადასხვა პროექტებში, მაგრამ ყველაზე მეტ სიამოვნებას შვილთან - ანუშკასთან თამაში ანიჭებს:

„ჩემი შვილი ანუშკა 24 წლისაა. ძალიან ნიჭიერი მსახიობია. მასთან ერთად სპექტაკლში ვითამაშე და დიდი კომფორტი ვიგრძენი, თუმცა სცენაზე დგომისას გულის სიღრმეში მაინც ვფიქრობდი, რომ ის ჩემი შვილია.“

ალენ დელონს 58 წლიანი სამსახიობო კარიერა აქვს. ის ხმამაღლა აცხადებს, რომ მდიდარი და ბედნიერია, რადგან საყვარელმა პროფესიამ საერთაშორისო აღიარება და უამრავი ადამიანის გულწრფელი სიყვარული მოუტანა:

„უზომოდ ბედნიერი ადამიანი ვარ, იმიტომ, რომ ამდენი გულშემატკივარი მყავს. რომ არა ჩემი პროფესია, მე დღეს თქვენ წინაშე არ ვიქნებოდი, ასეთი დიდი ინტერესი არ იქნებოდა და ჩემკენ ამდენი ვიდეოკამერა არ იქნებოდა მომართული. მადლობა ყველას ასეთი დიდი სიყვარულისთვის.“

# მარკუს მეტრეველმა მეგობარი ქალი გამოაჩინა

ეკა ირემაშვილი



28 წლის მომღერალმა მარკუს მეტრეველმა თავისი მეგობარი ქალი გამოაჩინა და მაია ასათიანთან პროფილში მიიყვანა. 45 წლის ლელა მიქელაძე წლებია დუბაიში ცხოვრობს და მოღვაწეობს, ამჟამად კი თბილისშია და მარკუსთან ურთიერთობით ტკბება. როგორც მომღერალმა განაცხადა, მის ცხოვრებაში სასიამოვნო სიახლეა და ამით ის უზომოდ ბედნიერია.

მარკუს მეტრეველი: — ძალიან ლამაზი სიახლეა ჩემს ცხოვრებაში. აბსოლუტურად თავისუფალი ადამიანი ვარ და რასაც მინდა, იმას ვაკეთებ. ყველამ თავის პირად ცხოვრებას რომ მიხედოს, ძალიან კარგი იქნება. ვიცი, რომ იტყვიან, ეს მოგონილი ამბავია და პიარისთვის არის გაკეთებულიო, მაგრამ ეს ასე არ არის. მაგინონ, მლანძღონ, რაც უნდათ, ის ქნან, ეს ვარ, რაც ვარ და მორჩა.

***— როგორ გაიცანით ერთმანეთი?***

**მარკუსი:** — ცოტა უცნაური და საინტერესო ისტორია გვაქვს. ჩვენი გაცნობა მოხდა დუბაიში, ოღონდ მე დუბაიში არ ვიმყოფებოდი. ლელა ცხოვრობს დუბაიში, საკმაოდ დიდი ხანია, ბიზნესი აქვს იქ და ერთ-ერთ კლუბში მოისმინა ჩემი სიმღერა.

**ლელა:** — ერთ-ერთ კომპანიაში მაქვს ინვესტიცია და ვცხოვრობ დუბაიში. ერთ-ერთ ღამის კლუბში მოვისმინე მარკოს სიმღერა „გელოდები“ არაბულ-აზიურ მოტივებზეა. ნამდვილად არ ვიცოდი, ამას ვინ მღეროდა. ძალიან დავინტერესდი, თან დუბაიში კლუბში ქართული სიმღერა ცოტა გასაკვირია. ძალიან პოპულარული სიმღერა იყო, როცა დიჯეის ვკითხე, ვინ მღერის-მეთქი, მითხრა, ეს ქართველი მომღერალი მარკუს მეტრეველიაო. ყველაფერი კარგი იყო, ხმა, მუსიკა, თან ქართველი და დავინტერესდი. მოვიძიე ინტერნეტით, მოვუსმინე მის სიმღერებს, ვიზუალურად რომ ვნახე, ძალიან მომეწონა, ძალიან განსხვავებულია. ამის შემდეგ ფეისბუქზე მივწერე მარკუსს, რომ მოვისმინე შენი სიმღერა და ძალიან მომეწონა-მეთქი.

**მარკუსი:** — ლელას მოწერილი რომ ვნახე, რა თქმა უნდა, მივაქციე ყურადღება, რადგან ქართველი მანდილოსნებისგან სხვანაირად გამოიყურებოდა. დუბაიში და არაბულ ქვეყნებში ქალები უფრო იმოსებიან სხვა ფერებში, უფრო ელეგანტურად და გამომწვევად, საქართველოში უფრო სხვანაირად. ჩემი და ლელას ურთიერთობა არის მეგობრობაზე ცოტა უფრო მეტი. ერთი წელია გვაქვს მიმოწერები, ჩამოვიდა, ახალი წლის ღამეები იყო და მომწერა, ყავა ხომ არ დაგველია და ერთმანეთი ხომ არ გაგვეცნოო. დავინტერესდი, ძლიერი, ჩამოყალიბებული, შემდგარი ქალი ასეთ წინადადებას რომ გთავაზობს, როგორ შეიძლება უარი თქვა?! და შევხვდით ერთმანეთს. ლელა ათი წელია არ ყოფილა თბილისში და ახლა ჩამოვიდა იმისთვის, რომ დაისვენოს და მოწყდეს იმ დატვირთულ გრაფიკს, რომელიც აქვს დუბაიში.

**ლელა:** — შევხვდი ადამიანს და გავიცანი. ეს ჩემთვის ჩვეულებრივი ამბავია და ამაში გასაკვირი არაფერია. 45 წლის ვარ და ცხოვრებით ვტკბები.

**მარკუსი:** — მე 28 წლის ვარ და ძალიან მომწონს ეს სხვაობა.

